ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ—

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1978 ● ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ 10 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ ● № 8 (17052) ● ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ. 1978

ᲛᲣᲨᲝᲚᲝᲓ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘ!

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲮᲐᲭᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ „ᲩᲐᲠᲮᲨᲘᲜᲔᲑᲚᲘᲡ“ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘ ᲮᲐᲭᲐᲠᲛᲝᲗ — Გ. ᲙᲘᲠᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲩᲐᲠᲮᲨᲘᲜᲔᲑᲚᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲛᲐ ᲒᲐᲮᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲐᲩᲕᲘᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲐᲠᲐ.

ᲐᲮᲚᲐ, ᲛᲔᲗᲐᲠᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲔᲮᲣᲗᲛᲔ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡᲗᲐᲕᲔ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ, ᲮᲣᲗᲐ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲐᲩᲕᲘᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲐᲠᲐ. ᲛᲔᲪᲘᲠᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲣᲠᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡᲗᲐᲕᲔ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲛᲔᲪᲘᲠᲔ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲭᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲐᲢᲘ ᲓᲐ ᲛᲦᲐᲠᲐᲕᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲐᲓ ᲐᲯᲐᲛᲔᲑᲔᲜ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲡ.

ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲐᲠᲐᲢᲝ ᲮᲐᲭᲠᲔᲚᲘ ᲩᲐᲠᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲣᲗᲝ-ᲔᲥᲕᲩᲘ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲢᲐᲚᲡ ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲣᲒᲛᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲬᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ 215-ᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ 240 ᲓᲔᲢᲐᲚᲡ ᲣᲨᲕᲔᲑᲡ. ᲛᲐᲗ ᲐᲠᲪ ᲛᲦᲐᲠᲐᲕᲔᲑᲘ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲑᲘᲐᲜ ᲓᲐ 50 ᲓᲔᲢᲐᲚᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ 70-Ს ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲜ.

ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲜᲔᲑᲓᲜᲔᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲘᲛ ᲮᲐᲠᲐᲢᲔᲑᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲦᲐᲠᲐᲕᲔᲑᲗᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲐᲛ ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ ᲮᲔᲓᲐᲕᲗ: (ᲛᲐᲠᲪᲮᲜᲘᲫᲔ) Ნ. ᲯᲝᲑᲐᲫᲔ, Ა. ᲑᲣᲚᲐᲫᲔ, ᲛᲦᲐᲠᲐᲕᲔᲑᲘ Ც. ᲪᲔᲠᲪᲕᲐᲫᲔ ᲓᲐ Ბ. ᲓᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐᲡ 140-150 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲜ.

Ბ. ᲒᲝᲒᲝᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲡ, ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ ᲘᲕᲐᲜ ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲡ ᲫᲔ ᲒᲣᲡᲢᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲘᲕᲐᲜ ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲡ ᲫᲔ ᲒᲣᲡᲢᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲡ, ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ ᲘᲕᲐᲜ ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲡ ᲫᲔ ᲒᲣᲡᲢᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲜᲓᲐ ᲞᲔᲢᲠᲔ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲜᲓᲐ ᲞᲔᲢᲠᲔ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲘᲗ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲜᲐᲮᲔᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ.

ᲘᲒ ᲞᲝᲜᲔᲢᲘᲣᲠᲘ ᲫᲕᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲣᲐᲮᲚᲔᲡᲘ ᲬᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲛᲬᲘᲜᲝ ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲘᲕᲐᲜ ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲡ ᲫᲔ ᲒᲣᲡᲢᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲡ, ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ ᲘᲕᲐᲜ ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲡ ᲫᲔ ᲒᲣᲡᲢᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲡ, ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ ᲘᲕᲐᲜ ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲡ ᲫᲔ ᲒᲣᲡᲢᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ ᲘᲕᲐᲜ ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲡ ᲫᲔ ᲒᲣᲡᲢᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲡ, ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ ᲘᲕᲐᲜ ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲡ ᲫᲔ ᲒᲣᲡᲢᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲡ, ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ ᲘᲕᲐᲜ ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲡ ᲫᲔ ᲒᲣᲡᲢᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Ლ. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ Მ. ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, ᲙᲠᲔᲛᲚᲘ. 1978 ᲬᲚᲘᲡ 9 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲠᲡᲚᲛᲐ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲕᲚᲐᲑᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲚᲔᲒᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲛᲑᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲓᲔᲑᲐ

ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲡ-ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ პროპაგანდის, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში დამსახურებისათვის, გახსნის 40 წელთან დაკავშირებით, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ᲐᲕᲚᲐᲑᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲚᲔᲒᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲛᲑᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲗ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ Ჯ. ᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ Თ. ᲚᲐᲨᲫᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 1977 ᲬᲚᲘᲡ 20 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ.

ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲔᲑᲐ

ᲠᲡᲚᲛᲐ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავლაბრის არალეგალური სტამბის მუზეუმის გახსნის 40 წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს **პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ მუზეუმის თანამშრომლები:

ეთერ ვლადიმერის ასული აბაზაძე — მუზეუმის ექსკურსიამძღოლი-ლექტორი.

მამილა გიორგის ასული გოშაძე — მუზეუმის მებადე.

საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის სიპატიო წოდება მიენიჭათ:

დურმიშხან ნიკოლოზის ძე მეხსს — მუზეუმის გამგეს.

მიხეილ ბენიამინის ძე ოშმაყაშვილს — მუზეუმის ექსკურსიამძღოლ-ლექტორს.

ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲛᲒᲖᲜᲔᲑᲐᲠᲔ ᲘᲐᲠᲐᲚᲘ

ᲠᲡᲚᲛᲐ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავლაბრის არალეგალური სტამბის მემორიალური მუზეუმის გახსნის 40 წლისთავს მიეძღვნა საიუბილეო საღამო, რომელიც 9 იანვარს გაიმართა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

ავლაბრის სტამბა მომცირო ერთსართულიანი ალურის სახლია, რომელიც შედგება ათვიანი ორი ოთახისა და ნახევრადსარდაფისგან. 1904 წლის თებერვალიდან 1906 წლის აპრილამდე, რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში ამიერკავკასიაში ლენინური იდეების პროპაგანდის ცენტრი გახდა. აქ, თბილისის ყოფილ ბანაპირა ნაწილში, არალეგალური სტამბების გამოჩენილი ორგანიზატორის, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრის მიხეილ (მიხა) ბოჭორიძის ხელმძღვანელობით არალეგალური რევოლუციური ლიტერატურის გამოსაცემად შეიქმნა იმ დროისთვის მძლავრი სტამბა. ფურცლებს, პროკლამაციებს, ბროშურებს, გაზეთებს, ფურცელს „პროლეტარიატის ბრძოლა“, რომლებიც მოუწოდებდნენ ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად, მუშა რევოლუციონერები დიდი ტირაჟით ბეჭდავდნენ რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე. მათი ავტორები და რედაქტორები იყვნენ მეზობარე

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-2 ᲒᲕ.).

ᲐᲚᲕᲔᲖᲐᲠᲓᲝᲗ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ რა უბანზეც უნდა იღვწოდეს ადამიანი, მის ადგილს საზოგადოებაში შრომა განსაზღვრავს. იქნება იგი მუშა, გლეხი, მეცნიერი, პედაგოგი თუ მხატვარი, ცოდნა და შრომა მუდამ მისი განუყრელი თანამგზავრია. არ არის ცოდნა უშრომლად და ფუჭია შრომა უცოდნოდ. სრულფასოვანი ადამიანის, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ღირსეული წევრი მოქალაქის ორი უცილობელი კომპონენტით — ცოდნითა და შრომის ჩვევებით აღჭურვა ვალად ადევს საბჭოთა სკოლას. ამიტომაც კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა, სოციალისტური სახელმწიფო შეუნელებლად ზრუნავენ სკოლაზე, მოზარდი თაობის აღზრდაზე, შრომისათვის მის მომზადებაზე.

სკოლისადმი საყოველთაო ყურადღების ლენინური ტრადიციის კიდევ ერთი ხორცშესხმის გამოვლინებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ახლახან მიღებული დადგენილება „ზოგადსაგანმანათლებელო სკოლების მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ“, „ზოგადსაგანმანათლებელო სკოლების მოსწავლეთა მიერ სახელმძღვანელოებით უფასო სარგებლობაზე გადასვლის შესახებ“, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება „სსრ კავშირის სახალხო მასწავლებლის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ. ეს დოკუმენტები ასახავს ჩვენს ქვეყანაში განათლების დარგში მიღწეულ დიდ წარმატებებს.

წარსულის ნეგატიური მოვლენების შედეგების დასაძლევად გრძელის გზაზე საქართველოს საშუალო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლამ შეძლო მიეღწია გარკვეული მიჯნებისათვის მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეში. სახალხო განათლების დარგში ბევრი სიახლე დამკვიდრდა, ჩამოყალიბდა აღზრდისა და სწავლების პროგრესული, ნებისმიერი დროისათვის, განვითარების დღევანდელი ეტაპისათვის დამახასიათებელი მიმართულებები. იხ პოზიტიური ძვრები, რომლებიც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, მათ შორის სკოლის ცხოვრებაში, სახალხო განათლების შემდგომი განვითარების საქმეში ხდება ამ ბოლო წლების მანძილზე, საქართველოს კომუნისტური პარტიის დიდი პოლიტიკური და ორგანიზაციაორული მუშაობის, იმ შეუნელებელი ზრუნვის, დახმარების და ხელმძღვანელობის შედეგია, რასაც რესპუბლიკა გრძნობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისაგან.

ჩვენი სამოქმედო პროგრამაა პარტიის XXV ყრილობის, ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ საშუალო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის შემდგომი განვითარების ამოცანებთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული დებულება, რომ თანამედროვე პირობებში უკვე შეუძლებელია მთავარი კურსი ავიღოთ მოსწავლეთა ცოდნის გარკვეული რაოდენობის ფაქტების შეთვისებისათვის. განვითარებული სოციალიზმის ეპოქის სკოლამ მოსწავლეებს უნდა ჩაუნერგოს ცოდნის დამოუკიდებლად შეთვისების, სამეცნიერო და პოლიტიკური ინფორმაციის სწრაფ ნაკადში სწორი ორიენტირების უნარი. უნდა ავამაღლოთ სასწავლო-აღმზრდელობითი მომზადების დონე, მეტი ყურადღება დავუთმოთ მოსწავლეთა შრომითს აღზრდას, ახალგაზრდობის პროფესიულ ორიენტაციას, მის ეთიკურ და ესთეტიკურ აღზრდას. განუზომლად დიდია მასწავლებლის როლი მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების სრულყოფაში.

საქართველოს სსრ მასწავლებელთა IV ყრილობის საპატიო ტრიბუნიდან ჩვენ ვისმინეთ ზუსტი და ლაკონიური განსაზღვრა მასწავლებლის სახისა: „მასწავლებელი საოცრად გვაბოლებს მოძანდაკეს, რომელიც გარკვეული მასალისგან ცოცხალ ქმნილებას აძანდაკებს“. აი რა სათუთი საქმე ანდო პარტიამ მასწავლებელს.

ამ და ბევრ სხვა პრობლემებზეა ლაპარაკი მასწავლელთა იანვრის თათბირებზე, 5-10 იანვარს რომ მიმდინარეობს. აქ ღრმად და საფუძვლიანად, სრულყოფილად განიხილება ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში დაყენებული ამოცანები, მისი ძირითადი პრინციპული პოზიციები. ადგილმრივ პარტიულ კომიტეტებს, სახალხო განათლების ორგანოებს მართებთ საქმიანად და ეფექტიანად წარმართონ სკოლების მუშაობა. გვახსოვდეს და განუხრელად ვასრულებდეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მასწავლებელთა IV ყრილობაზე დასმულ ამოცანას — შემოვბრუნდეთ სკოლისაკენ, აღზრდის პრობლემებისაკენ, ძირეულად გარდავქმნათ სკოლისადმი პარტიული ხელმძღვანელობა.

პედაგოგების მიერ წამოჭრილი საკითხებისადმი გულგრილად ვერ იქნებიან საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული ორგანიზაციები. კომკავშირისათვის ხომ სისხლხორცეულია საკითხები, რომლებსაც იანვრის თათბირები განიხილავენ. დაე ხელმძღვანელმა პარტიულმა მუშაკებმა, სამრეწველო და სასოფლო საწარმოთა ხელმძღვანელებმა ყური მიუგდონ პედაგოგებს — რას მოითხოვენ, რა სურთ, რა მიაჩნიათ აუცილებელ საჭიროებად მოსწავლეთა შრომითი და სულიერი, პოლიტიკური, მორალური და პატრიოტული აღზრდის გასაუმჯობესებლად, შრომისათვის მათს მოსამზადებლად, როგორია მათი სასკოლო სახელოსნოები, რას აკეთებენ შეფები, როგორ ორგანიზებულად ეწყობა მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადები, შრომითი სემესტრები, როგორ აჩვევენ ბავშვს შრომას.

პედაგოგიური თათბირების მსჯელობის საგანი მართებულად გახდა გამოვლენილი ფაქტები იმის შესახებ, რომ სკოლების ერთ ნაწილში არ იცავენ ობიექტურობას, დაწესებული არ არის მასწავლებელთა პერსონალური პასუხისმგებლობა მოსწავლეთა ცოდნის შეფასების სიზუსტისათვის, ობიექტურობის ზუსტი დაცვით არ ფასდება მოსწავლეთა ცოდნა. მაგალითად, გეგეჭკორის რაიონის თითქმის ყველა საშუალო სკოლაში დარღვეულია სიზუსტე ატესტატების გაცემაში. როგორც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახალხო განათლების ინსპექციის მიერ მოწყობილმა შემოწმებამ ცხადყო, ზოგი სკოლის ხელმძღვანელების უუნარობის, დოყლაპიობისა და, ზოგჯერ, განზრახ წაყრუების შედეგად, სკოლებში მოსწავლეთა ცოდნის შეფასებისა და კურსდამთავრებულთა ატესტატების გაცემაში დამკვიდრებულია ლიბერალიზმის, პროტექციონიზმისა და მაამებლობის მავნე პრაქტიკა. ასეთი დარღვევებია თბილისის 29-ე, 47-ე, 49-ე, 75-ე, 127-ე და ბევრ სხვა საშუალო სკოლაში, ხაშურის რაიონის წრომის, გორის მე-7, მე-13, რუსთავის მე-17, ქუთაისის მე-15,

პარტიული ცხოვრება

ჩვენი ახალგაზრდა ამხანაგი

პარტიული ორგანიზაცია და კომკავშირი

კოლმეურნეობის თავმჯდომარე, პარტიული ბიუროსა და კომკავშირის კომიტეტის მდივანები დილაადრიანივე ერთ პატარა ოთახში განცალკევებულიყვნენ და თათბირობდნენ. მოსათათბირებელ-მოსალაპარაკებელი კი ბევრი რამ ჰქონდათ...

ხშირად ამბობენ ხოლმე, სოფელში საქმეს რა გამოლევსო, და მართალიც ხარ. შემოდგომის მოსვენენარი, ითასი საზრუნავით დატვირთული დღეები ზამთრის სამუშაოებმა და ახალმა საფიქრალმა შეცვალა. რამდენი რამ არის კიდევ გასაკეთებელი!

მართალია, იმ დღეს ძლიერი ქარი ქროდა, მაგრამ წყალტუბოს რაიონის სოფელ რიონის კოლმეურნეები დილადანვე ერთსულოვნად შესეოდნენ ჩაის პლანტაციებს. გახსენ ხაიუბლეო წელს მათ დიდი წარმატება მოიპოვეს, ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები პირნათლად გაანაღდეს და ქალაქის ზონის საზოგადოებრივ მეურნეობებში თითქმის ყველას გაუსწრეს ხაშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობის დონით.

თანასოფლელთა ხელთა წარმატებაში თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანეს კოლმეურნე ახალგაზრდებმაც. კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი გ. ტურაბელიძე ახალგაზრდებზე კვლავაც დიდ იმედებს ამყარებს და ხვრეა, რომ ისინი ნამართლებენ ნდობას. ჩაის უხეი მოსავლისათვის ბრძოლაში, მაგალითად, განსაკუთრებით ისახელა თავი ოთხმა კომკავშირულ-ახალგაზრდულმა რგოლმა, რომლებიც პარტბიუროს მითითებით შეიქმნა. კომკავშირელები და ახალგაზრდები მარტო შრომაში როდი გამოირჩევიან. ისინი აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ ხაქმიანობაშიც, მუდამ მზარში უდგანან კოლმეურნეობის გამგეობას, პარტბიუროს. თუნდაც მხოლოდ ის ფაქტი, რომ ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში სოფელ რიონში სისხლის სამართლის არც ერთი დანაშაული არ მომხდარა, მათი დიდი დამსახურებაც არის...

თავის მხრივ ახალგაზრდებიც მუდამ გრძნობენ თავიანთი უფროსი მეგობრების მხარდაჭერასა და დახმარებას. ჯერ კიდევ გასული წლის დასაწყისში გაიმართა კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის კრება, რომელშიც განიხილა საკითხი — **„თითოეულ კომკავშირელს — კომუნისტური იდეურობა, აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია“.**

კრების მუშაობაში იმ 88 კომკავშირელთან ერთად, რომლებიც კოლმეურნეობის ახალგაზრდულ ორგანიზაციაში არიან გაერთიანებული, კოლმეურნეობის გამგეობიდან და პარტბიუროს წევრებიც იღებდნენ მონაწილეობას. მათმა გულითადმა რჩევა-დარიგებამ, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების გაზიარებამ კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმა ახალგაზრდები, ხასახელო შრომისა და ახალი სასიკეთო ხაქმეებისათვის განაწყო ისინი. კოლმეურნეობის ახალგაზრდები ამაყობენ, რომ მათი ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი მეჩაიე ლამარა ხინატაშვილი კომკავშირის ხაქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრად აირჩიეს, ხოლო საქართველოს კომკავშირის მომავალ XXXI ყრილობის მუშაობაში, როგორც დელეგატი, მონაწილეობას მიიღებს კომკავშირის კომიტეტის მდივანი ბადრი სიხატაშვილი.

კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია, პარტბიურო, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ კომკავშირული ორგანიზაციას, მის ყოველდღიურ ხაქმიანობას, პრაქტიკულად ეხმარებიან ახალგაზრდებს ორგანიზაციული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის წარმართვაში.

ზემოთ მოყვანილი მაგალითი გამონაკლისი როდია. პარტიის წყალტუბოს ხაქალაქო კომიტეტი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომლებმაც იციან, რომ კომკავშირის წინსწლისა და ძლიერების წყარო სისტემატური პარტიული დახმარება და მზრუნველობაა, კომკავშირელებს, ახალგაზრდებს არ აკლებენ ზრუნვას, მეგობრულ რჩევას, მხარში უდგანან მათ. 1977 წლის პირველი ნახევრის შედეგებით ხაქალაქო კომკავშირული ორგანიზაცია ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში მოპოვებული წარმატებებისათვის სრულიად საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოდდა.

ათი ათასამდე ახალგაზრდაა დასაქმებული ხოფლის მეურნეობისა და მრეწველობის გადამწყვეტ უბნებზე, 1.900 კომკავშირელი კომუნისტური შრომის დამკვრელია, 1.200 ქალაშვილი და ჭაბუკი შრომობს დევიზით **„ხუთწლედი — სამ წელიწადში“.** მარტო შარშანწინ შეიქმნა და ნაყოფიერად მუშაობს 76 კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივი, ბრიგადა და რგოლი. საქვეყნოდ გაითქვეს სახელი საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, საქალაქო საბჭოს დეპუტატმა, „საქგუმბრინის“ მაღაროთამშმართველოს მუშამ ვ. ხინაურიძემ, რომელიც ამჟამად 1979 წლის ანგარიშში შრომობს, ფარცხანაყანევის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორებმა რ. შალამბერიძემ და ლ. ფხაკაძემ, ზარათის კოლმეურნეობის მეჩაიემ დ. არიშვილმა, გეგუთელმა მწველადმა მ. ბრეგაძემ და სხვებმა. მათ მაგალითზე ათობითია და ასობით სხვა ახალგაზრდა იზრდება.

პარტიის საქალაქო კომიტეტში, მის ცალკეულ განყოფილებებში ხშირად იწვევენ კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრებს, ერთობლივად მსჯელობენ ახალგაზრდობის იდეური, შრომითი და ხნევრივი აღზრდის აქტუალურ საკითხებზე. კომკავშირისადმი ხელმძღვანელობის საქმეში პარტიის ხაქალაქო კომიტეტის მუშაობის ეს სტილი და მეთოდები თანდათანობით პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაშიც მკვიდრდება. უნდა აღინიშნოს, რომ კომკავშირელები და ახალგაზრდები თავიანთ მხრივ ამართლებენ დიდ ნდობას.

გეგუთის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის (პარტიული კომიტეტის მდივანი ნ. ტყეშელაშვილი) კრებაზე განხილულ საკითხი „პირუტყვის გამოზამთრების ხაქმეში კომკავშირელი ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ“. კომკავშირულმა ორგანიზაციამ, რომელიც თავის რიგებში 300 ახალგაზრდას აერთიანებს, პარტიული კრების გადაწყვეტილების შესაბამისად მეცხოველეობის ფერმაში შექმნა კომკავშირული რგოლი. მარტო ამ რგოლის წევრებმა უმოკლეს ვადებში დაამზადეს 120 ტონა თივა, 85 ტონა ნამჯა, 8 ტონა საკვები ძირხვენები, ჩაფეს 750 ტონა სილოსი.

ან კიდევ: ქალაქის ზონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ამოცანად დაისახეს უახლოეს ორსამ წელიწადში გააშენონ 3 ათასი ჰექტარი ვენახის ფართობი, აქედან შარშან — 500 ჰექტარი. კომკავშირის საქალაქო კომიტეტმა შექმნა ვენახის გამშენებელი ახალგაზრდათა ბრიგადები და რგოლები რომლებიც პრაქტიკულად შეუდგნენ მუშაობას.

ამ წერილში ყველასა და ყველაფერს ვერ ჩამოვთვლიდ, დადებითი მაგალითები სხვაც ბევრია, მაგრამ გვერდს ვერ ავუვლით კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ზოგიერთ ნაკლოვანებასაც, რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის. ეს უნდა აღინიშნოს თუნდაც იმიტომ, რომ აქ გამართულ საქალაქო კომკავშირულ კონფერენციაზე მწვავედ ილაპარაკეს ამის თაობაზე. უპირველესად საკითხი ეხება ახალგაზრდობის შრომითი აღზრდის პრობლემებს. მუხიან-მესხეთისა და პატრიეთის საბჭოთა მეურნეობებში აღრიცხვაზე მყოფ კომკავშირელთა 25-30 პროცენტი დასაქმებული არ არის მებოსტნეობაში, თუმცა ეს დარგი აქ წამყვანია. ასევე წყალტუბოს კიკეიძის სახელობის, ცხუნკურის კოლმეურნეობებსა და მაღლაკის საბჭოთა მეურნეობაში ახალგაზრდობის ძალზე მცირე ნაწილი მუშობს ჩაის პლანტაციებში. პირველადი პარტიული ორგანიზაციები ერთხელაც არ დაფიქრებულან ამაზე და არ უმსჯელიათ ახალგაზრდობის შრომითი აღზრდის საკითხებზე.

ბევრი ნაკლოვანებაა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში. მარტო ის ფაქტი, რომ 1976-1977 წლებში ხამუალო სკოლის კურსდამთავრებულთა 15 პროცენტი მთლიანად დატოვა სოფელი, ნათლად მოწმობს ხასკოლო კომკავშირული ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელ საქმიანობას, მთლიანად ჩაშლილია მასობრივ-ფიზკულტურული და კულტურულ-მასობრივი ერების საქმიანობა მექვეხასა და დეჩაში, დღნორისასა და ხარხეუტაში. საკოლმეურნეო პარტორგანიზაციებს კი ერთხელაც არ გახსენებიათ ეს საკითხი.

ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებელი არ არის დანაშაულობათა, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობა. უფრო მეტიც: ზოგ სოფელში გვხვდება ახალგაზრდების მიერ ჩადენილ დანაშაულობათა ფაქტები. ქალაქის ზონაში დანაშაულობათა 35-40 პროცენტი ახალგაზრდებზე მოდის, მომსახურების სფეროში წესების დარღვევისათვის 40 კომკავშირელი დაისაჯა, მათგან სამი გაირიცხა კომკავშირიდან.

როგორც პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების კრებებზე, ისე კომკავშირის საქალაქო კონფერენციაზე ბევრი ხაყურადღებო კრიტიკული შენიშვნა, საქმიანი წინადადება და კეთილი სურვილი გამოთქვა. კარგად მოიქცა ბევრი პარტიული ორგანიზაცია, როცა ახალგაზრდობის ყველა ხასარგებლო გამონათქვამი, როგორც იტყვიან, გულთან მიიტანა და კონკრეტული დახმარებას უწევს კომკავშირულ ორგანიზაციებს, რომ იგი მალე, და მთლიანად პრაქტიკაში განხორციელდეს.

დ. გედენიძე,
„კომუნისტის“ ხაგ. კორ.

ბოლშევიკური სიტყვის მგზნებარე ბრძოლა

(დასასრული)

ბოლშევიკი-ლენინელები ალექსანდრე ბობოვნაკი, ფილიპე მახარაძე, იოსიფ სტალინი, სტეფანე შაუმიანი, ალექსანდრე წულუკიძე, მიხა ცხაკაია და სხვები.

აქ, ავლაბრის არალეგალურ სტამბაში 1904 წლის სექტემბრიდან, მჟაღრი კონსპირაციის პირობებში, დაიწყო რსდმპ ქაქაესიის კავშირის კომიტეტის ორგანოს, გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის“ ბეჭდვა, რომლის გამოსვლასაც მხურვალედ მიესალმა ვ. ი. ლენინი. ამ გაზეთში დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი სტატიები და რეზოლუციები. ბოლშევიკურმა სტამბამ ქალაქ გამოსცა ვ. ი. ლენინის ნაშრომი „სოფლის ღარიბებს“ და ბროშურა „პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურა“. ავლაბრის არალეგალურმა სტამბამ გამოსცა აგრეთვე ვ. ი. ლენინის ნაშრომები „ცნობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მესამე ყრილობის შესახებ“, „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა“, „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წესდება, მიღებული მესამე ყრილობაზე“.

ფასდაუდებელია ავლაბრის არალეგალური სტამბის როლი ამიერკავკასიაში ლენინური იდეების დაცვისა და ფართო პროპაგანდის, ბოლშევიკ-ლენინელთა ხელოვნური კოჰორტის, საბჭოთა ხელისუფლებისათვის თვალსაჩინო მებრძოლების, ჩამოყალიბებისა და დავაკავკაციების საქმეში. რევოლუციის ხუსხიან წელს ქანდაკრმთა მიერ დარბეული სტამბა პირველადი სახით აღადგინეს დიდი ოქტომბრის 20 წლისთავის წელს, 1937 წლის აგვისტოში. ფასდაუდებელია მისი რეალი დღესაც. უკვე ოთხ ათეულ წელზე მეტი ხნის მანძილზე არ ნელდება ინტერესი რევოლუციური დიდების ამ შესანიშნავი ძეგლისადმი, რომელიც მამაცობის, პატრიოტის, ხალხის საქმისადმი ერთგულების სიმბოლოა.

უწყვეტ ნაკადად მიედინებიან აქ ადამიანები სადღესასწაულო და ჩვეულებრივ დღეებშიც. ოთხი მილიონი დამთვალიერებელი იყო ამ ხნის მანძილზე ავლაბრის არალეგალური სტამბის მემორიალურ მუზეუმში, რომელიც ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის შემადგენელი ნაწილია. მარტო შარშან — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საიუბილეო წელს ასპინძის ქუჩის № 7 მწვანეში ჩაფლული სახლში, სადაც მუზეუმი იმყოფება, 230 ათასამდე დამთვალიერებელი მივიდა, მათ შორის ორი ათასზეთასზე მეტი ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობარი.

ყველა, ვინც აქ მოდის და ეცნობა ჩვენი ხალხის ისტორიულ წარსულს, ალტაცებული რჩება რევოლუციის მებრძოლთა უმაგალითო ვაჟკაცობით.

მემორიალური მუზეუმი საბჭოთა ხალხის კომუნისტური პარტიის სახელოვანი რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებით ახალგაზრდობის აღზრდის შესანიშნავი კერაა. აქ დიდი და ნაყოფიერი მუშაობა მიმდინარეობს, რათა ახალგაზრდობას ბოლშევიკური ტრადიციები ეროვნული ინტერნაციონალური მრწამსი, ოდიდ ბოლშევიკური ერთგულება ლენინისადმი, ოქტომბრის იდეალებისადმი ულაზავი ერთგულება. აქ ტრადიციად იქცა შეხვედრები ძველ ბოლშევიკებთან, საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის მონაწილეებთან, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანებთან, რესპუბლიკის მოშათა კლასის, კოლმეურნეთა გლეხობის, ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებთან. მუზეუმში ეწყობა პიონერთა და ლენინური კომკავშირის რიგებში შესვლის ზეიმი ბებერ ბოლშევიკებთან, ინტერნაციონალური მეგობრობის საღამოები, მეცადინეობა სსრ კავშირისა და საქართველოს ისტორიაში, ექიკია-საუბრები ხალხთა ხალხის გმირული წარსულის შესახებ. აქ შექმნილია ლენინური ლექციორიუმი. მუზეუმის მუშაკები ზმირად ლექციებ-მოსხენებებს კითხულობენ თბილისის, ავრეთვე რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების საწარმოებში, მშენებლობებსა და დაწესებულებებში. ისინი თავიანთი კონსულტაციებით სისტემატურად უწევენ დახმარებას ეს ადგილები საშიალო სპეციალური სასწავლებლების სტუდენტებს, სკოლებისა და პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებს, რომლებიც სწავლობენ ავლაბრის არალეგალური სტამბის, საქართველოში რევოლუციური მოძრაობის სახელოვან ისტორიას.

საიუბილეო საღამო გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. მეთუმაშვილმა.

შეკრებილთა ტაშის გრიალში სპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

მოხსენება რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავლაბრის არალეგალური სტამბის მემორიალური მუზეუმის ისტორიისა და დღევანდელი დღის შესახებ გააკეთა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორმა ფ. მახარაძემ.

საღამოზე გამოვიდნენ სკკპ წევრი 1921 წლიდან თ. ჩიტაშვილი-ბოგორიძე, „თბილისგეირბამშენის“ ვეტერანგამყვანთა ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი გ. ობოლაძე, ვ. ი. ლენინის (ცენტრალური მუზეუმის ბაქოს ფილიალის) დირექტორის მოადგილე ფ. ბანი-ზადე, პროფესორი მ. ლორთქიფანიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტი დ. თვალთვაძე, პოეტი ი. ნონეშვილი.

სხდომას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის (ცენტრალური) კომიტეტის მდივანი ვ. სირაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშარაშვილი.

საღამოს დასასრულს აჩვენეს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის სპექტაკლი „ჩვენი თანამედროვე“. (საქინფორმი).

ეს დღეები სოფლად

წითელწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვების ყადაღოვის სახელობის კოლმეურნეობის ვენახებში ახალი წლის პირველივე დღეებიდან მთელი ძალით გაჩაღდა მუშაობა. წარმატებით მიმდინარეობს ვაზის სხვლა, სასუქების შეტანა. მოწინავეთა შორისაა მევენახეობის მეორე ბრიგადა, რომელსაც ლენინის, შრომის წითელი დროშისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენების კავალერი ვახტანგ ფიროსმანიშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადაში ვაზს 50 ჰექტარი უჭირავს. შარშან ჰექტარზე ნაცვლად საშუალოდ 72 ცენტნერისა 75 ცენტნერი ყურძენი მიიღეს. წელს უფრო მეტს ვარაუდობენ.

* * *

სურათზე: მარცხნიდან — **მოწინავე მევენახეები** • შოთა სულაშვილი, ბრიგადირი ვახტანგ ფიროსმანიშვილი და გიორგი ზვიადაური ვაზის სხვლის დროს.

ვ. მენგბიურის ფოტო.

ვამოწმებთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებას

პიროვნების ავჯორჯეჯი

უკუვაგდოთ დრომოჭმული, გზა მივცეთ ახალს

ციური გურჯიძეს ხაზოგადოებრივი დავალება მისცეს. პარტიის ქობულეთის რაიკომთან არსებული მავნე ტრადიციებისა და წესჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლისა და ახალი ტრადიციების დამკვიდრების რაიონულმა კომისიამ იგი ახალდაორწინებულთა ხაზეიმო რეგისტრაციის მასალასლაგ დანიშნა. ციურის მოსწონს თავისი მოვალეობა.

და აი ციურიმ გაიგო, რომ ეფერ ჯინჭარაძემ და ოთარ პატარაიამ დაორწინება გადაწყვიტეს. ციურიმ ისინი სარეგისტრაციოდ რაიონის კულტურის სასახლეში მიიწვია. დანიშნულ დროს ლენინის მოედანზე მსუბუქი ავტომანქანების კოლონა გაჩერდა. ხაზეიმოდ ჩაცმული ნეფე-დედოფალს მაყრიონიც მოჰყვა. ახალგაზრდებმა ჯერ ბელადის ძეგლი ყოცხალი ყვავილებით შეამკეს, შემდეგ კულტურის სასახლისაკენ გაემართნენ. სასახლის კიბეები ხალხით იყო სავსე. ეს ადამიანები აქ მხოლოდ ცნობისმოყვარეობას არ მოუყვანია, გულითადად ეზიარებდნენ ეთერისა და ოთარის სიხარულს. პიონერებმა მათ სავალი გზა ყოცხალი ყვავილებით მოფინეს. ხალიჩებით მორთულ, ხაზეიმოდ მოწყობილ ფოიეში გულში ჩამწვდომი მელოდია ეღერდა. ნეფე-დედოფალს ტაშის გრიალში გადაეცათ ქორწინების მოწმობა.

იქ დამსწრე ახალგაზრდებს მოეწონათ ხაზეიმო გარემო.

ამის შემდეგ კულტურის სასახლე რამდენიმე სხვა ბედნიერი წყვილის შეუღლების მოწმე გახდა...

ამას წინათ ქობულეთის რაიონული ცენტრი დიდებული სანახავი იყო: ტრანსპარანტები, ნიავზე ატოკებული ალისფერი დროშები, ხალხით სავსე მოედანი; სიმღერები, ცეკვები, ჟრიამული ავსებდა გარემოს. შრომის გამარჯვებულნი ზეიმობდნენ. მათ გარჯაზე მეტყველებდა მკერდზე მოელვარე მთავრობის ჯილდოები. ტრიბუნებიდან ხაზეიმოდ აღნდებდნენ იმათ გვარებს, ვინც შრომაში ისახელა თავი. წარჩინებულებს დაურგეს ფასიანი საჩუქრები, დასასვენებელი და ტურისტული საგზურები, ხამახსოვრო დიპლომები, სიგელები. პოეტებმა ლექსებით შეამკეს მკლავმოუღლელი მეჩაიეები, მეციტრუსეები, მეხილეები, ისინი, ვინც ნვავთია და ბარაქით აავსო ქვეყანა. ასე გახდა ჩვენი მკლავმოუღლელი ადამიანების შრომის დაფასება, მათი ავტორიტეტის ამაღლება ახალი ტრადიციების დამკვიდრების საფუძველი. ასე იკიდებს ფეხს ახალი, პროგრესული, რომელიც სამართლიანად ზღუდავს ძველსა და დრომოჭმულს.

მაგრამ, განა ყველა ასე მონდომებით ეღვწის ახლის, პროგრესულის დასამკვიდრებლად, დრომოჭმულის უარსაყოფად? ჯერ კიდევ არიან ბოლი შრომის მოყვარულნი, მუქთახორები, ისეთებიც, რომლებიც რელიგიური ბნგიან უშხამავენ სხვას საწუთროს.

ორ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ცნობილი დადგენილება „მავნე ტრადიციებისა და წესჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“. აღნიშნული დადგენილება განსაკუთრებით ყურადსაღები იყო ქობულეთის რაიონის პარტიული ორგანიზაციებისათვის. რაიონში ჯერ კიდევ შეინიშნებოდა რელიგიური გადმონაშთები, დაგვის, ზეადაკვირიკეს, ქვედაჩყვისა და ზოგიერთ სხვა სოფლებში ხანდაზმული მორწმუნეები „წმინდა ადგილებში“ მარხავდნენ გიორგობას, მარიამობას, კონსტანტინეობას. შენიშნული იყო, რომ სალოცავად საქართველოს სხვა რაიონებიდანაც ჩამოდიოდნენ. ჭარბად შეიმჩნეოდა მონათვლის, ნაადრეები ქორწინების ან მილოცვიანი ქორწინების გადახდის, ეკეგერეფლა სახლების მშენებლობის, მეშჩანური ჩვეულებებით გატაცების ფაქტები.

პარტიის რაიონულმა კომიტეტმა შეისწავლა რაიონში არსებული შედგომარეობა და ეგი ბიუროს მსჯელობის საგანი გახადა. ბიუროიმ შექმნა მავნე ტრადიციებისა და წესჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლისა და ახალი სოციალისტური ტრადიციების დანერგვის რაიონული კომისია, დაამტკიცა მოქმედების კონკრეტული გეგმა.

ანალოგიური კომისიები შეიქმნა ყველა პარტიულ ორგანიზაციასთან. კულტურისა და განათლების განყოფილებებმა, კომკავშირის რაიკომმა, რაიონულმა გაზეთმა „ლენინის დროშამ“, საზოგადოება „ცოდნის“ რაიონულმა განყოფილებამ, სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა შეიმუშავეს ღონისძიებათა კომპლექსური გეგმები და შეუდგნენ მის განხორციელებას.

პარტიის რაიკომმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების განხორციელების საქმეში ჩაბა რაიონის მოსახლეობა, გამოიყენა იდეოლოგიური და პარტიული მუშაობის მთელი არსენალი. ყველა სოფელში ჩატარდა სოფლის ყრილობები, სისტემატურად ეწყობოდა კვირეულები სამართლებრივი აღზრდის საკითხებზე.

რაიკომში ნახავთ ილუსტრირებულ ალბომებს, ბუკლეტებს, რომლებიც ასახავს ქობულეთში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა ინტერნაციონალურ მეგობრობას, გვიჩვენებს ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის — საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბებას, მოგვითხრობს დამკვიდრებულ ახალ ტრადიციებზე: შრომის ზეიმზე, კომკავშირულ ქორწინებაზე, არმიაში ახალწვეულთა ხაზეიმო გაცილებაზე, პასპორტების ხაზეიმო გადაცემაზე და ა. შ.

დიდი მუშაობა გაუწევია „ხაზოგადოებრივი აზრის ბიუროს“, რომელსაც სათავეში უდგას ჩაქვის საშუალო სკოლის დირექტორი, რაიკომის ერთ-ერთი მოწინავე ლექტორი ს. აფხაზავა. ბიუროიმ ხუცუბნის, ჩაქვის, ბობოყვათისა და სხვა სოფლების ათასამდე ოჯახს დაურიგა რამდენიმეკითხვიანი ანკეტები. მშრომელთა მიერ ამ კითხვებზე გაცემული პასუხები, ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ მათ დიდ ნაწილს შესანიშნავად ესმის დრომოჭმულის აღმოსაფხვრელად და ახლის დასამკვიდრებლად გაჩაღებული ბრძოლის დიდი მნიშვნელობა.

რაიკომის მიერ განხორციელებულმა სისტემატურმა, კომპლექსურმა ღონისძიებებმა ნაყოფი გამოიღო ცეცხლაურისა და ჩაქვის საბჭოთა მეურნეობებში, ციხისძირისა და ზედა ულიანოვკის კოლმეურნეობებში. დაგვასა და სხვა სოფლებში შემცირდა მორწმუნეთა აქტიურობა. წინასწარი პროფილაქტიკის სახით რელიგიურ რიტუალებს ახალგაზრდებმა დაუპირისპირეს შემოქმედებითი ღონისძიებები, კულტურულ-მასობრივი გართობები. ასეთ საღ ტენდენციებს სასურველი შედეგი მოჰყვა.

მაგრამ იქ, სადაც შედარებით დაბალ დონეზე დგას იდეოლოგიური, აღმზრდელობითი მუშაობა, სადაც თვითდინებაზეა მიშვებული პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა და პასიურობს აქტივი, სოფლის ინტელიგენცია, ეხვდებით ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო მოვლენებსაც.

პარტიის რაიკომის ბიურომ პარტიიდან გარიცხა კომუნისტი ა. ჯაფარიძე, რომელმაც მიუხედავად ხელმძღვანელი ორგანოების გაფრთხილებისა, მაინც გადაიხადა ხალხმრავალი ქორწილი, რომლის ერთ-ერთი მთავარი დანაშაულება სტუმართაგან ფულის შეკრება იყო. ასეთივე ქორწილის გადახდისათვის რაიკომის ბიურომ სამუშაოდან მოხსნა ქობულეთის სატყეო მეურნეობის დირექტორი ბ. ჩიმაკაძე. წლეულს სოფელ გვარაში რელიგიური წესით მონათლეს ბავშვები (გუნთაიშვილი, გოგმაჩაძე, ანთაძე), გათხოვდა აპყეის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე ვ. მადოიშვილი, სოფლებში აქა-იქ შეხვდებით მოხტალე მოლეს, რომელთა ბადეში ადვილად ებმებიან უვიცი და სუსტი ნებისყოფის ადამიანები. ფაქტები იმაზე მეტყველებენ, რომ განხორციელებული ღონისძიებები საკმარისი არ არის. ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია, მათ შორის ზედა კვირიკეს, ჭაბათის, სოფელ ქობულეთის პირველადი პარტიული ორგანიზაციები სისტემატურ ბრძოლას არ ეწევიან წარსულის მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ, მათ მიერ მოწყობილი ზოგიერთი ღონისძიება მიზანდასახული არ არის, სოფლის ინტელიგენცია, განსაკუთრებით პედაგოგები და ექიმები მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების უფრო დამაჯერებელ პროპაგანდას უნდა ეწეოდნენ ცრურწმენით შეპყრობილ ადამიანებთან.

როგორც დავინახეთ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა. ამ დარგში ზოგიერთი პარტორგანიზაციის მუშაობის განზოგადებაც შეიძლება, მაგრამ განსაკუთებული ჯერ კიდევ ბევრია. მთავარია დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანოთ. როგორც პარტია გვასწავლის, საეთოდ მივუდგეთ წარსულის ტრადიციების შეფასებას, გაბედულად უკუვაგდოთ დროჰოჭული და მავნე ზნეჩვეულებები, სარბიელი მივცეთ ახალსა და პროგრესულს.

მ. გოგრგილაძე,
„კომუნისტის“ ხაგ. კორ.

ჯროგლემები, რომლებიც გვაფიქრებს

სუბტროპიკულ ზონას — სათანადო მანქანები!

სოფლის მეურნეობის მანქანებს თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს, ამის მტკიცება საჭირო არ არის. მთავარი ის არის, თუ ჩვენი რესპუბლიკის ამ ტექნიკურ არსენალს როგორ ვიყენებთ, როგორია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონე. თავიდანვე გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ სოფლის მეურნეობის სამუშაოთა მექანიზაციის დონე ერთობ დაბალი. არსებული მანქანები ნიადაგურ-კლიმატური პირობების თავისებურების გამო ვერ მუშაობენ მთელი დატვირთვით და იმ წარმადობით, როგორიც უნდა იყოს ვაკე რელიეფის პირობებში. მხედველობაში გვაქვს არა მარტო კოლხეთის დაბლობის სამელიორაციო ზონა, არამედ დასავლეთ საქართველოს ვაკე მთლიანად.

ჩვენ შევეხებით მანქანების გამოყენების საკითხს სუბტროპიკულ ზონაში ალბათ არ შეეცოდებთ, თუ ვიტყვით, რომ სუბტროპიკული ზონაში. საერთოდ, უნდა იმუშაოს არა თვლებიანმა ტრაქტორებმა, არამედ მუხლუხოვანმა. არა მარტო რთული ავლებდა გარემოს. შრომის გამარჯვებულნი ზეიმობდნენ. მათ გარჯაზე მეტყველებდა მკერდზე მოელვარე მთავრობის ჯილდოები. ტრიბუნებიდან ხაზეიმოდ აღნდებდნენ იმათ გვარებს, ვინც შრომაში ისახელა თავი. წარჩინებულებს დაურგეს ფასიანი საჩუქრები, დასასვენებელი და ტურისტული საგზურები, ხამახსოვრო დიპლომები, სიგელები. პოეტებმა ლექსებით შეამკეს მკლავმოუღლელი მეჩაიეები, მეციტრუსეები, მეხილეები, ისინი, ვინც ნვავთია და ბარაქით აავსო ქვეყანა. ასე გახდა ჩვენი მკლავმოუღლელი ადამიანების შრომის დაფასება, მათი ავტორიტეტის ამაღლება ახალი ტრადიციების დამკვიდრების საფუძველი. ასე იკიდებს ფეხს ახალი, პროგრესული, რომელიც ხამართლიანად ზღუდავს ძველსა და დრომოჭმულს.

მაგრამ, განა ყველა ასე მონდომებით ეღვწის ახლის, პროგრესულის დასამკვიდრებლად, დრომოჭმულის უარსაყოფად? ჯერ კიდევ არიან ბოლი შრომის მოყვარულნი, მუქთახორები, ისეთებიც, რომლებიც რელიგიური ბნგიან უშხამავენ სხვას საწუთროს.

ორ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ცნობილი დადგენილება „მავნე ტრადიციებისა და წესჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“. აღნიშნული დადგენილება განსაკუთრებით ყურადსაღები იყო ქობულეთის რაიონის პარტიული ორგანიზაციებისათვის. რაიონში ჯერ კიდევ შეინიშნებოდა რელიგიური გადმონაშთები, დაგვის, ზეადაკვირიკეს, ქვედაჩყვისა და ზოგიერთ სხვა სოფლებში ხანდაზმული მორწმუნეები „წმინდა ადგილებში“ მარხავდნენ გიორგობას, მარიამობას, კონსტანტინეობას. შენიშნული იყო, რომ სალოცავად საქართველოს სხვა რაიონებიდანაც ჩამოდიოდნენ. ჭარბად შეიმჩნეოდა მონათვლის, ნაადრეები ქორწინების ან მილოცვიანი ქორწინების გადახდის, ეკეგერეფლა სახლების მშენებლობის, მეშჩანური ჩვეულებებით გატაცების ფაქტები.

პარტიის რაიონულმა კომიტეტმა შეისწავლა რაიონში არსებული შედგომარეობა და ეგი ბიუროს მსჯელობის საგანი გახადა. ბიუროიმ შექმნა მავნე ტრადიციებისა და წესჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლისა და ახალი სოციალისტური ტრადიციების დანერგვის რაიონული კომისია, დაამტკიცა მოქმედების კონკრეტული გეგმა.

ანალოგიური კომისიები შეიქმნა ყ

მსოფლიოს ამბები

სოციალიზმის ქვეყნებში

უნგრეთი

მეცნიერების ჰორიზონტები

ბუდაპეშტი. უკანასკნელი 25 წლის მანძილზე უნგრეთში რვაჯერ გაიზარდა მეცნიერ მუშაკთა რიცხვი, ხოლო ახალგაზრდა კვლევით სამუშაოთა განვითარებისათვის ქვეყნის ეროვნული შემოსავლის 3,2 პროცენტს მიაღწია. ახლა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიაში 47 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტია.

ამჟამად უნგრეთში დაადგინეს სამეცნიერო-კვლევითი ბაზის შემდგომი განვითარების ეტაპი.

ჩეხოსლოვაკია

შრომითი აღმავლობა

პრაღა. ხუთწლედის მეხუთე წელი შრომითი აღმავლობით დაიწყო ჭალაჭ ბრნოს მანქანათხაშენებელ კომბინატ „ზბროოვკის“ კოლექტივმა. ხუთწლიანი გეგმის დირექტივების შესაბამისად „ზბროოვკაში“ 1978 წელს წარმოების მოცულობა უნდა გაიზარდოს 54 მილიონი კრონით.

ერთსულოვან კოლექტივს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაძლიოს დასახული მიჯნები, და სახალხო ხელისუფლების 30 წლისთავის წელი შრომაში ახალი წარმატებებით აღნიშნოს.

ბრნოს „ზბროოვკა“ სულ უფრო აქტიურად მონაწილეობს სოციალისტურ ეკონომიკურ ინტეგრაციაში. საწარმო მოძმე ქვეყნებში გზავნის ამჟამად 10-ზე მეტი სახეობის კავშირგაბმულობისა და საწერი მოწყობილობების ტექნიკას.

გულგარეთი

ელექტრონიკა სოფლის მეურნეობაში

სოფია. ბულგარეთის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტმა ჭალაჭ ტოლბუხინში მიიღო გადაწყვეტილება ყველა ენერგომატარ სათეს მანქანაზე დადგას ელექტრონული სისტემა „კედრი“, რომელიც შეიქმნა მარცვლეული კულტურების თესვის ხარისხისადმი კონტროლისათვის.

სისტემა „კედრი“ შექმნეს მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და სოფიის რადიოელექტრონიკის ინსტიტუტის სპეციალისტებმა. მას უკვე უშვებს ჭალაჭ ტოლბუხინის ელექტრონული და ინსტალირებული აპარატურის ქარხანა.

პრაქტიკა მოწმობს, რომ, თუ ამ ელექტრონულ საკონტროლო სისტემას არ გამოიყენებენ, უთანაბრო თესვის შედეგად გამოუყენებელი რჩება მოწის 15-20 პროცენტი. ძნელი გამოსაანგარიშებელი როდია, თუ რამდენი რეზერვია მიწის სწორად გამოყენებაში.

საბჭოთა და ბულგარელმა სპეციალისტებმა, რომლებიც „კედრს“ ცდიან, გამოიტანეს დასკვნა, რომ მისი დადგმის ხარჯები სათესი მანქანის რვასაათიანი მუშაობის შემდეგ ნაზდაიჩდება

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

კონტეინერები ხელსაყრელია

ბერლინი. კონტეინერებით დატვირთული რკინიგზის შემადგენლობა უკვე ოშვიათობა როდია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფოლადის მაგისტრალებზე. ახლა კონტეინერებით გადააქვთ დაახლოებით 2 მილიონი ტონა სხვადასხვა ტვირთი.

თუ რაოდენ დიდი სარგებლობა მოაქვს მთელი რესპუბლიკისათვის ამ სახეობის ტვირთიზიდვას, აშკარაა. ამიტომ შემოხვევითი არ არის, რომ ახლა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის რკინიგზების სამმართველოს განკარგულებაში არსებული დიდგაბარიტიანი კონტეინერების რიცხვი 10 ათას ცალს აღემატება. უკანასკნელი წლების მანძილზე კონტეინერებით დატვირთული მატარებლები სულ უფრო ხშირად დადიან მაგისტრალებზე, რომლებითაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა უკავშირდება საბჭოთა კავშირს, პოლონეთს, ჩეხოსლოვაკიას.

პრინციპული პოზიცია

სირიის პრეზიდენტის განცხადება

დამასკო, (საკდესი). სირიის პოზიცია ემყარება იმას, რომ მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში შეუძლებელია, თუ არ იქნა უზრუნველყოფილი ამისათვის საჭირო ყველა ელემენტი: პირველ რიგში — ისრაელის ჯარების მთლიანად გაყვანა ყველა ოკუპირებული არაბული ტერიტორიიდან და პალესტინის არაბი ხალხის ხელშეუვალი უფლებების, მათ შორის თვითგამორკვევისა და პალესტინის სახელმწიფოს შექმნის უფლების განხორციელება.

ამას ხაზი გაუსვა სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჰ. ასადმა ამერიკის კონგრესმენთა დელეგაციასთან შეხვედრაზე.

ჰ. ასადის სიტყვით, ეგვიპტის პრეზიდენტის სადათის ვიზიტმა ისრაელში ჩაფუშა საერთაშორისო ლონისძიებანი ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის მიღწევის გზაზე დაბრკოლებათა აღმოფხვრისათვის. „სადათი, — თქვა მან, — მშვიდობის გზის ნაცვლად კაპიტულაციის გზას დაადგა. მან, შესაძლებელია, ხელი მოაწეროს სეპარატულ შეთანხმებას ისრაელთან, მაგრამ ეს არ ნიშნავს ყოველსმომკვლელი მშვიდობის მიღწევას, რადგან ახლო აღმოსავლეთის კრიზისი მარტო ეგვიპტე-ისრაელის წინააღმდეგობით კი არ გამოიხატება, არამედ არაბეთ-ისრაელის წინააღმდეგობებითაც.

ესპანურ გაზეთ „პაისისათვის“ მიცემულ ინტერვიუში ჰ. ასადმა აღნიშნა, რომ სადათის უშუალო სეპარატულმა მოლაპარაკებებმა ბეგინთან „მხოლოდ გაართულა ახლო აღმოსავლეთში მტკიცე მშვიდობის შესახებ შეთანხმების დადება“.

ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, მიმაჩნია, რომ ჟენევის კონფერენციის იდეა ძალაში რჩება, მაგრამ მისი მოწყობა გაცილებით უფრო გართულდა, — დასძინა პრეზიდენტმა.

ჰ. ბრანდტის განცხადება

ლუსაკა, (საკდესი). ზამბიაში ვიზიტად მყოფმა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ვილი ბრანდტმა აქ გაკეთებულ განცხადებაში ხაზი გაუსვა, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანებასთან და ევროპის მთელ რიგ ქვეყნებთან ერთად განზრახული აქვს ფართო კამპანია გაიმაღოს წელს საამრეთ აფრიკის რესპუბლიკის შემდგომი იზოლაციისათვის ანარტეიდის ამ პოლიტიკის ლიკვიდაციის მიზნით, რომელსაც პრეტორიის ხელისუფლები ახორციელებენ. მან აღნიშნა, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ მა პარტიამ უკვე მოსთხოვა გერმანიის მთავრობას ოფიციალური რესპუბლიკის მთავრობას გადასინჯოს მისი საგარეო ეკონომიკური ურთიერთობა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან.

ვ. ბრანდტმა გამოთქვა რწმენა, რომ ეს წელი იქნება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ანარტეიდს პოლიტიკის წინააღმდეგ აქტიური გამოსვლების წელი.

კაპიტალის ქვეყნებში

უსიხარულო პერსპექტივები

1977 წელი იმედგაცრუების წელიწადი იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკისათვის, წერს დასავლეთგერმანული „ზეთოვ „ზეიდდოიჩე ციტუნგი“. წარმოების ზრდის ტემპი მოხალოდნელზე ორჯერ ნაკლები აღმოჩნდა, კვლავ მაღალია უმუშევრობისა და ინფლაციის დონე. ასევე უსიხარულო პერსპექტივებს წინასწარმეტყველებენ ქვეყნის ეკონომისტები 1978 წლისათვის.

სურათებზე: (მარცხნივ) ახალგაზრდობის დემონსტრაცია მაინის ფრანკფურტში შრომისა და განათლების უფლებების დასაცავად. უშუშევრობა ახალგაზრდებს შორის ქვეყნის ერთ-ერთი სერიოზული საშინაო პრობლემაა. 400 ათასამდე ჭაბუკსა და ქალიშვილს არა აქვს საშუალება დაეუფლოს პროფესიას და მიიღოს სამუშაო; (მარჯვნივ) მაწანწალა ბონის ქუჩებში. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 7 მილიონზე მეტი მოჭალაქის ცხოვრების დონე „ოფიციალურ „ხიღარიბის დონეზე“ ნაკლებია.

საკდესის ფოტო.



მართლმსაჯულება ამერიკულად

ნიუ-იორკი, 9 იანვარი. (საკდესი). ამერიკის ფემდგომ კვლავ ცხადყო თავისი რეპრესიული, რასისტული არსი. ქალაქ როლში ჩრდილოეთ კაროლინის შტატის საკანონმდებლო სასამართლომ უარყო „ულმინგტონის ათეულის“ ადვოკატთა თხოვნა იმის შესახებ, რომ განმეორებით, ობიექტურად გაასამართლონ მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლები.

სასამართლოს გადაწყვეტილება ნიშნავს, რომ პოლიტიკურ პატიმრობა ეს ჯგუფი დილეგებში დარჩება.

როგორც ცნობილია, მოქალაქეობრივ უფლებებისათვის ამ მებრძოლებს მეოცდაერ ბენ ჩივისის მეთაურობით ჩრდილოეთ კაროლინის რასისტულმა სასამართლომ მსჯავრი დადო შეკოწიწებული ბრალდებით და ხანგრძლივი ვადით — 20-34 წლამდე პატიმრობა მიუსაჯა თითოეულს, ფორმალურად მათ ბრალად დასდეს 1971 წელს უილმინგტონში საბაყლოს „დაწვა“. სინამდვილეში კი ზანგთა აქტივისტებს ანგარიში გაუსწორეს მშობლიურ ქალაქში სკოლების რასობრივი სეგრეგაციის წინააღმდეგ გამოსვლებისათვის.

ჰ. ბ. ოლდროიდ

ინდოეთში ეძებენ ნავთობს

● დელი. ინდოეთის ნავთობისა და ბუნებრივი გაზის სახელმწიფო კომისიამ ფართო ხაძიებო სამუშაოებმა გაიარა: ნავთობის ძიება მიმდინარეობს გუჯარათის, რაჯასტანის, მიმაჩალ-პრადეშის, დასავლეთ ბენგალიის, უტარ-პრადეშის, ასამის, მაჰარაშტრის, ტამილნადუს შტატებში. ინდოელი სპეციალისტების აზრით, დაზვერილი მარაგი საკმარისია ამისათვის, რომ ნავთობის ყოველწლიური მოპოვება ქვეყანაში 1981-82 წლებისათვის 19-20 მილიონ ტონამდე გაადიდონ.

ტერორის მსხვერპლი

● მაპუტუ. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში პოლიტიკური ტერორის მორიგი მსხვერპლი გახდა რიჩარდ ტერნერი. აპარტეიდისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ თვალსაჩინო მებრძოლი. ნატალის უნივერსიტეტის 36 წლის მასწავლებელი ღამით მოკლეს დურბანში საკუთარ ბინაზე.

1973 წელს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტულმა ხელისუფლებამ შინაპატიმრობა მიუსაჯეს რ. ტერნერს და 5 წლის ვადით აუკრძალეს რაიმე საზოგადოებრივი და პოლიტიკური საქმიანობა. ოფიციალური ცნობით მოსახლეობის უფლებებისთვის მებრძოლი მრავალი ადამიანი ციხეებში ან [illegible] ბანაკებში ელოდება ვადის გასვლამდე ურთიერთობას.

აგროვებენ ხელმოწერას

● ვაშინგტონი, შეერთებულ შტატებში მიმდინარეობს ამ პატიციაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანია, რომელიც მოითხოვს მასობრივი მოსპობის ახალ სისტემათა და ხახეობათა იარაღის და უწინარეს ყოვლისა ნეიტრონული ბომბის წარმოების აკრძალვას. პეტიცია, რომელსაც უკვე ხელი მოაწერა ათასობით ამერიკელმა, მალე გაეგზავნება თეთრ სახლს.

მაროკოს მოსახლეობა

● რაბათი. მაროკოს მოსახლეობის რიცხვი 1976 წელს შეადგენდა 17,8 მილიონ კაცს. აქედან 56 პროცენტი 20 წელზე ახალგაზრდაა.

აქ გამოქვეყნებული მონაცემებით, ქვეყნის მოქალაქეთა 61 პროცენტი ხოფლად ცხოვრობს; მაროკოს უდიდესი ქალაქი კასაბლანკაა, რომლის მოსახლეობა 2 მილიონ კაცს აღწევს.

აფრიკის რქის რაიონი: ვინ აღვიძებს კონფლიქტს

მთელ აფრიკაში და მის ფარგლებს გარეთაც აფრიკის ერთობის ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოადგილეს პატერ ონუს მუდამ ხალისიანი და ნებისმიერ ვითარებაში ოპტიმისტურად განწყობილი კაცის რეპუტაცია აქვს. მიუთითებდა რა ონუს ამ თვისებებზე, „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ნაირობელი კორესპონდენტი ოტმიმბრის ერთ-ერთ ნომერში დეტალურად აღწერდა სახენაღვლიან და შეშფოთებულ ონუს, როდესაც იგი საუბარში აფრიკის რქის რაიონში მოვლენათა განვითარებას აფასებდა. აგერ უკვე ბუთი თვეა, რაც ოგადენის უდაბნოს გამო სისხლისმღვრელი ბრძოლები წარმოებს აფრიკის ორ უვერენულ სახელმწიფოს — სომალსა და ეთიოპიას შორის.

ვიდრე ეთიოპია-სომალის კონფლიქტსა და მის გამომწვევ რეალურ მიზეზებს შეეხებოდეთ, უნდა აღინიშნოს, რომ განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი რთული და სპეციფიკური პრობლემაა ტერიტორიული და სასაზღვრო საკითხი. თავისუფლების მოპოვებისთანავე ბევრ ახალგაზრდა სახელმწიფოს შორის გამწვავდა ურთიერთობა სადავო ტერიტორიებსა და საზღვრების გამო, რაც აფერხებს ანტიიმპერიალისტური ერთიანი ფრონტის შექმნას. სადღეისოდ საკითხი ასე დგას — შეძლებენ აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოები უთანხმოებათა მშვიდობიანი გზით გადაჭრას თუ ევროპის, ბრიტანეთი და სამხრეთ ამერიკის მსგავსად აფრიკაც ბრძოლის ასპარეზად გადაიქცევა.

აფრიკის სახელმწიფო საზღვრები, როგორც წესი, არ ასახავენ ეთნიკურ, ტრაიბოლურ დასახლებათა ფარგლებს. ამავე დროს აფრიკაში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს პოლიტიკურ წყობილებათა დიფერენციაცია. ცალკეულ სახელმწიფოებში დღითიდღე მტკიცდება როგორც სოციალისტური, ასე კაპიტალისტური წყობილება. დროთა განმავლობაში იდეოლოგიური ფაქტორი კიდევ უფრო გაამწვავებს მათ შორის უთანხმოებას. უკანასკნელი მოვლენები ცხადყოფს, რომ პოლიტიკური და იდეოლოგიური მოსაზრებები უკვე გადამწყვეტ როლს ასრულებს ტერიტორიული კონფლიქტების მოწესრიგებაში. აფრიკის ბევრი ლიდერი საგარეო-პოლიტიკურ პრობლემებს საშინაო პოლიტიკის მწვავე საკითხებისაგან მოსახლეობის ყურადღების ჩამოსაშორებლად იყენებს. დემაგოგიური ნაციონალიზმით შეზავებულ სასაზღვრო და ტერიტორიულ დავას შეუძლია დიდი ხნით მიიპყროს ფართო მასების ყურადღება და მიჩქმალოს საშინაო პოლიტიკის აქტუალური სოციალური და ეკონომიკური ხასიათის პრობლემები.

დღეს ბევრ პოლიტიკურ მოღვაწეს კარგად ესმის, რომ თანამედროვე პირობებში საზღვრების გადასინჯვის საკითხი სრულიად უსაფუძვლოა და სერიოზულ, საერთაშორისო მასშტაბის გართულებასთან არის დაკავშირებული. მიუხედავად ამისა ბურუჟუაზიული ნაციონალიზმის პოზიციებზე მდგომი ბევრი რეაქციული მოღვაწე მონათესავე ხალხთა კონსოლიდაციისაგან ბუნებრივ მისწრაფებას პოლიტიკური სპეკულაციის მიზნით იყენებს.

საინტერესოა ტერიტორიული და სასაზღვრო პრობლემის ევოლუცია. 1960 წლამდე, როდესაც აფრიკის კონტინენტზე სულ რამდენიმე დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო, საკითხის განხილვისას ყოველთვის აღინიშნებოდა არაონრმალური მდგომარეობა და არავინ უარყოფდა საზღვრების გადასინჯვის აუცილებლობას. აფრიკის ხალხთა პირველმა კონფერენციამ. რომელიც 1958 წლის დეკემბერში ქ. აკრაში გაიმართა, საზღვრების საკითხზე სპეციალური რეზოლუცია მიიღო, სადაც საჯაროდ დაგმო „იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მიერ ერთი წარმოშობის ხალხთა დაყოფის მიზნით ხელოვნურად შექმნილი საზღვრები“, რეზოლუცია მოითხოვდა „ამგვარი საზღვრების დაუყოვნებლივ ლიკვიდაციას ან გადასინჯვას“. სულ სხვა სურათი შეექმნა 1960 წლის შემდეგ, როდესაც აფრიკაში მკვეთრად გაიზარდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა რიცხვი. უკვე თავს იჩენს არსებული საზღვრების შენარჩუნებისა და სტაბილიზაციის ტენდენცია. საზღვრების საკითხისადმი ახალი მიდგომა ოფიციალურ დოკუმენტებში პირველად ფიქსირებულ იქნა 1961 წლის ქასაბლანკის კონფერენციაზე, სადაც მონაწილეთა უმრავლესობამ კატეგორიულად გაილაშქრა არსებული საზღვრების გადასინჯვის ყოველგვარი იდეის წინააღმდეგ. დეკოლონიზაციის პროცესთან დაკავშირებით კიდევ უფრო შემცირდა საზღვრების გადასინჯვის მომხრეთა რიცხვი, მაგრამ პრობლემა გადაუწყვეტელი დარჩა — მიუხედავად იმისა, რომ აფრიკის ერთობის ორგანიზაციის სპეციალურ დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ საზღვრების გადასინჯვა მიზანშეწონილი არ არის.

ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში უკვე დიდი ხანია, რაც „დიდი სომალის“ შექმნის ლოზუნგით გამოდის სომალის მთავრობა. ლოზუნგის პრაქტიკული განხორციელების კადს 1963-1964 წლებში შეიარაღებული სასაზღვრო ინციდენტები მოჰყვა სომალ-ეთიოპიასა და სომალ-კენიას შორის. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აფრიკის იმპერიალისტურ გაყოფამდე არ არსებობდა სომალის ერთიანი სახელმწიფო. XIX საუკუნის დასასრულისათვის ინდოეთის ოკეანის სომალის სანაპირო ზანზიბარის სულთანს ეკუთვნოდა, ხოლო ჩრდილოეთი სანაპირო—ეგვიპტეს, რომელიც იმ დროს თვითონ იყო თურქეთის ვასალი. 1887 წელს აფრიკის რუკაზე გაჩნდა ბრიტანეთის სომალილენდი. ასე დაიწყო სომალის სანაპიროს განაწილება. 1896 წელს საფრანგეთმა „დაამრგვალა“ თავისი სამფლობელობა სომალის ნახევარკუნძულზე „საფრანგეთის სომალის“ სახელწოდებით. 1924 წელს იტალიამ დაუთმო 93.000 კვადრატული კილომეტრი სომალის ტერიტორია. 1960 წლის 1 ივლისს ბრიტანეთის სომალილენდისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამეურნეო ტერიტორიის (ყოფილი იტალიის სომალის) ბაზაზე შეიქმნა სომალის სუვერენული რესპუბლიკა. რაც შეეხება ეთიოპიის ტერიტორიაზე მცხოვრებ სომალის ენაზე მოლაპარაკე ხალხებს, მათ ძირითადად უკავიათ ხარარის ტერიტორია. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სომალიელები ძირითადად მომთაბარე მესაქონლეობას მისდევენ, მათი დასახლების ტერიტორია ხშირად სცილდება ხარარის პროვინციას და მთელი ეთიოპიის ფართობის ერთ მეხუთედს შეადგენს. თვითონ ხარარის რაიონი თავისი ეკონომიკური და ბუნებრივი პირობებით ძალზე მნიშვნელოვანი და საჭიროა ეთიოპიისათვის (აქ გადის რკინიგზა, რომელიც ადის-აბებს აკავშირებს ჯიბუტის ნავსადგურთან), თვით ხარარის სომალიელები სხვადასხვანაირად განიხილავენ სომალის რესპუბლიკასთან შეერთების პერსპექტივას. 1962 წელს მათ სპეციალური პეტიციაც კი გაუგზავნეს ჰაილე სელასიე პირველს, რომელშიც სომალის რესპუბლიკასთან საზღვრის გამაგრებას მოითხოვდნენ.

სომალის რესპუბლიკის მთავრობას პრეტენზიები აქვს აგრეთვე კენიის ჩრდილოეთ სასაზღვრო რაიონზე, რომელიც ამ ქვეყნის მთელი ტერიტორიის ერთ მესამედს შეადგენს, ხარარის პროვინციისაგან განსხვავებით კენიის ჩრდილოეთში სადავო პროვინციას არავითარი ეკონომიკური მნიშვნელობა არა აქვს არც ერთი მხარისათვის. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ სომალის მთავრობის მხრივ კონფლიქტის გამწვავება, როგორც წესი, ემთხვევა ქვეყნის შიგნით პოლიტიკური ბრძოლის გამწვავებას არჩევნებისწინა პერიოდში. ასე იყო 1961, 1964, 1967 წლებში.

დასავლეთის პროპაგანდა, ეხება რა ახალგაზრდა სახელმწიფოთა ტერიტორიულ და სასაზღვრო კონფლიქტებს, სისტემატიურად ხაზს უსვამს მათ სირთულეს, ხელოვნურად აზვიადებს არსებულ წინააღმდეგობას და რაღაც ფატალური უბედურების სურათს ხატავს.

რით აიხსნება, რომ ათეული წლების მანძილზე არსებული კონფლიქტი უკიდურესად სწორედ მაშინ გამწვავდა, როდესაც ეთიოპიაში სახალხო რევოლუციის შედეგად ხელისუფლების სათავეში პროგრესული ძალები მივიდნენ? თვალის ერთი გადავლებით შესამჩნევია, რომ საერთაშორისო რეაქცია დაინტერესებულია ამ კონფლიქტის გაღრმავებით. საქმე ეხება საერთაშორისო ვაჭრობის დიდმნიშვნელოვან ზონაზე (სუეცის არხი — წითელი ზღვა — ინდოეთის ოკეანე) კონტროლის დაწესებას და ამ სტრატეგიული რეგიონის „დაცვას“ პროგრესული და სოციალისტური რეჟიმებისაგან. აბა სხვა რით აიხსნება ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა უპირველესი ინტერესი? ნოემბრის პირველ რიცხვებში ცნობილი გახდა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს ათჯერ გაუდიდოს სომალს დახმარება. კიდევ უფრო მეტ გულუხვობას ინახავს საუდის არაბეთის მეფე ჰალედი, რომელიც ჯერ კიდევ ოქტომბრის დამდეგს, როგორც ინგლისური „დეილი-ტელეგრაფის“ საქმეში ჩახედული ნაირობელი კორესპონდენტი წერს, 500 მილიონ დოლარს ჰპირდებოდა სომალის პრეზიდენტ ბარეს, თუ იგი ურთიერთობას გაწყვეტდა სოციალისტურ ბანაკთან.

კონფლიქტი კი (ფაქტიურად ომი) სულ უფრო საშიში ხდება. აფრიკის სახელმწიფოთა და მსოფლიოს მთელი მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობის საერთო შეშფოთება გამოხატა კენიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვაიაკიმ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ოცდამეთორმეტე სესიაზე, როდესაც განაცხადა, „აფრიკის რქის რაიონში მიმდინარეობს სასტიკი ბრძოლები, რაც საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას“.

საეჭვოა, რომ სომალის ხელმძღვანელობამ შეიარაღებული აგრესიით შეძლოს თავისი პოლიტიკური მიზნების მიღწევა, ვინაიდან ეთიოპიის ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი სოციალისტს ფასად დაიცვას რევოლუციის ყველა მონაპოვარი. ასევე საეჭვოა, რომ არაბულმა რეაქციამ წითელი ზღვა „არაბულ ტბად“ აქციოს. ერთი რამ კი ცხადია: სომალი სულ უფრო ექცევა საერთაშორისო იმპერიალიზმისა და მისი აგენტის — არაბული რეაქციის გავლენის ქვეშ.

ყოველივე ეს კი ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ თუ არ იქნა ანტიიმპერიალისტური ერთობა და არ განმტკიცდა კავშირი სოციალისტურ ბანაკთან, მთელ პროგრესულ ძალებთან დღითიდღე გაძნელდება აფრიკის ხალხების დამოუკიდებლობის დაცვა.

ხ. ციწაგაძე.

პოლიტიკური მიმოხილველი.

წერილი ლონდონიდან IMCO იმკო

ყოველი მსჯელობა

მოკლედ

ამ უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა საერთაშორისო საზღვაო მიმოსვლა. იმატა მსოფლიოში საზღვაო სახელმწიფოთა რიცხვმა და შესაბამისად ჩვენი პლანეტის ზღვებსა და ოკეანეებში მცურავი გემების რაოდენობამ, ტვირთბრუნვამ თუ ნაირსახეობამ. საერთაშორისო საზღვაო ტრანსპორტის სამყაროში მოვიდა ახალი პრობლემა წამოიჭრა. საჭიროება აუცილებლობად გადაიქცა საზღვაო სახელმწიფოთა შორის სხვადასხვა დარგში თანამშრომლობის განმტკიცება. სწორედ ამან განაპირობა ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნა, რომელიც შეძლებდა მსოფლიო მასშტაბით საზღვაო მიმოსვლის ათასგვარი ტექნიკური, ეკონომიკური, იურიდიული თუ სხვა საკითხების გადაჭრას.

ასეთი ორგანიზაციის შექმნა სცადეს ჯერ კიდევ 1889 წელს ქ. ვაშინგტონში, რაც უშედეგოდ დამთავრდა.

1914 წელს მიიღეს საერთაშორისო კონვენცია ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის დაცვის შესახებ, რომელსაც პირველი მსოფლიო ომის გამო არ ეწერა ძალაში შესვლა.

1948 წელს ქ. ჟენევაში მსოფლიოს 32 ქვეყნის მონაწილეობით გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საზღვაო (საბჭოთა კავშირი ამ კონფერენციაზე არ ყოფილა წარმოდგენილი) კონფერენცია, რომელმაც შეიმუშავა, განიხილა და მიიღო კონვენციის პროექტი. სწორედ ეს დოკუმენტი დაედო საფუძვლად იმკოს ანუ სამთავრობათშორისო საზღვაო საკონსულტაციო ორგანიზაციის შექმნას. იმკოს კონვენცია რომ ძალაში შესულიყო, მის რატიფიკაციაზე 21 ქვეყანას უნდა განეცხადებია თანხმობა, რომელთაგან შვიდს მაინც უნდა ჰყოლოდა სულ მცირე ერთი მილიონი სარეგისტრო ტონის საერთო ტევადობის ფლოტი. ეს მოთხოვნა მხოლოდ ათი წლის შემდეგ, 1958 წლის 17 მარტს იქნა დაკმაყოფილებული. 1959 წელს კი ქ. ლონდონში გაიმართა იმკოს პირველი ასამბლეა, რომელშიც მსოფლიოს 29 ქვეყანა მონაწილეობდა, მათ შორის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. იმკოს ბოლო ასამბლეა გაიმართა 1977 წლის ნოემბერში, რომელმაც განაახლა ძველი კონვენცია და 17 მარტი მსოფლიო საზღვაო დღედ გამოაცხადა. 1978 წელს ორგანიზაცია თავისი შექმნის მე-20 წლისთავზე პირველად ეზეიმებს ამ დღეს.

ჩვენი საუკუნის სამოციანი წლების იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის მსხვრევისა და ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფოების დაბადებით აღინიშნა. ამავე პერიოდში გამახვილდა ყურადღება მსოფლიო ოკეანის რესურსების ათვისებასა და გამოყენებაზე. კაცობრიობისთვის ოკეანე გადაიქცა არა მარტო ქანგბადის, არამედ უმდიდრესი ხაკვები და სამრეწველო რესურსების წყაროდ. არსებობს ყველასათვის ცნობილი საყურადღებო სტატისტიკა: თუ დღეს მსოფლიოს მოსახლეობა მხოლოდ 4 მილიარდს შეადგენს, სულ რაღაც 25 წლის შემდეგ მან 7 მილიარდს უნდა მიაღწიოს. მსოფლიო ოკეანეს დედამიწის 71 პროცენტი უჭირავს. იგი კაცობრიობას წელიწადში 34 მილიარდ კუბურ მეტრს ქანგბადს აწვდის. საზღვაო გზით გადაიზიდება 3 მილიარდი ტონა ტვირთი. ადამიანი მისი წიაღიდან იღებს 80 მილიონ ტონამდე ცხოველურ და მცენარეულ საკვებს. პროგნოზის მიხედვით, 1980 წელს მსოფლიო ოკეანემ საერთოდ მოპოვებული ნავთობის 30 პროცენტი უნდა მოგვცეს. ყოველივე ეს საკმარისია იმისათვის, რომ იმკოს საერთაშორისო მნიშვნელობა და მისი მოღვაწეობის ხეფერო საგრძნობლად გაფართოებულიყო, ხოლო მისი წევრი სოციალისტური, კაპიტალისტური თუ განვითარებადი ქვეყნების რაოდენობა სამჯერ და უფრო მეტად გაზრდილიყო.

იმკო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი სპეციალიზებული დაწესებულებაა, რომელიც მსოფლიოს 103 ქვეყანას აერთიანებს. მისი მიზანია ხელი შეუწყოს საზღვაო ტექნიკის დარგში მთავრობათა შორის თანამშრომლობას, უზრუნველყოს საზღვაო მიმოსვლის ეფექტიანობა და უსაფრთხოება, რაც შეიძლება ქმედითი გახადოს ნავთობით ზღვის გაჭუჭყიანების წინააღმდეგ ბრძოლა. იმკო ამუშავებს და იძლევა რეკომენდაციებს სხვადასხვა საზღვაო საკითხზე, აწყობს საერთაშორისო კონფერენციებს, ამზადებს საერთაშორისო კონვენციებსა და შეთანხმებებს. ამრიგად, იგი ცდილობს ყოველნაირად მოაწესრიგოს და კოორდინაცია გაუწიოს თანამედროვე ადამიანის ცხოვრებას ზღვაზე.

იმკოს ერთ-ერთი ძირითადი საზრუნავია ადამიანის სიცოცხლის უსაფრთხოება ზღვაზე. ამ პრობლემასთან დაკავშირებული ყველა საკითხი და მოსაზრება 1960 წლის საერთაშორისო კონვენციაში აისახა. მას შემდეგ კონვენციაში ბევრი ცვლილება იქნა შეტანილი. 1974 წელს კი იგი მთლიანად განახლდა.

ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თევზსაპერი გემების საქმიანობას, მათი ეფექტიანობისა და უსაფრთხოების გაძლიერებას.

როგორც ცნობილია, ხანძრის ჩაქრობა გემზე გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე ხმელეთზე. ამიტომ ხანძარი გემზე ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო მოვლენად ითვლება. განსაკუთრებით დიდია ხანძრის საშიშროება ამ საბურდ მოწყობილობებსა და ბაქნებზე, რომლებსაც ოკეანეში მნერალური რესურსების მოსაპოვებლად იყენებენ. იმკომ შეიმუშავა მეცნიერულად დასაბუთებული და პრაქტიკასთან მჭიდროდ დაკავშირებული ხანძარსაწინააღმდეგო რეკომენდაციები, რომლებსაც დღეს წარმატებით იყენებენ ზღვაზე ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1967 წლის 18 მარტს დიდი ბრიტანეთის კუნძულების მახლობლად, კორნუელიდან 16 მილზე დაიღუბა იმჟამად მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ტანკერი „ტორი კენიონი“, რომელსაც კუვეიტიდან 119.000 ტონა ნავთობი მოაქვნდა. იგი მუცლით შეეხო გრუნტს და იქვე პოვა სამარადისო სამყოფელი. გემი 16 კვანძის სიჩქარით მოძრაობდა. შეჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ მისი ფსკერი ნახევარი მოლიანად დაზიანდა. 12 საათის განმავლობაში ებრძოდა ეკიპაჟი გემგანტის გადასარჩენად, მაგრამ ამაოდ. კატასტროფა გარდაუვალი აღმოჩნდა. მსოფლიოს ფლოტს გამოაკლდა ერთ-ერთი უდიდესი ტანკერი, ხოლო ზღვა საშინლად გაჭუჭყიანდა.

ნავთობისა და სხვა აფეთქებასაშიში ქიმიური ნივთიერებათა საზღვაო გადაზიდვის სისტემატურმა ზრდამ მოითხოვა გემების კონსტრუქციებზე ამგვარი ტვირთის მოქმედების შესწავლა. 1968 წელს ტანკერ „ტორი კენიონის“ დაღუპვის გამო დაიწყო ნავთობშზიდი ტანკერების კონსტრუქციისა და აღჭურვილობის ბეჯითი კვლევა, რათა შესაძლებელი გამხდარიყო ტანკერის ავარიის ან გრუნტზე დაშვების შემთხვევაში ზღვის ნავთობით გაჭუჭყიანების შეზღუდვა. კვლევის შედეგები აისახა იმკოს სხვადასხვა დოკუმენტში.

ამჟამად ამ ორგანიზაციის საქმიანობის სფერო გაიზარდა და საზღვაო კანონმდებლობის ისეთ საკითხსაც შეეხო, როგორიც არის მგზავრთა გადაყვანა და ტვირთის გადაზიდვა, წყლების გაწმენდა დაღუპულ გემთა ნამსხვრევებისაგან და სხვ.

იმკოს უმაღლესი ორგანოა ასამბლეა, რომელსაც ორ წელიწადში ერთხელ იწვევენ. მისი ხელმძღვანელი ორგანოებია საბჭო და

ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲑᲨᲘ

მხატვრები — საბჭოთა არმიას



ᲙᲚᲔᲕᲐᲛᲘᲡᲘᲚᲘ საბჭოთა არმია, მისი სისხლით დაწირული უწმინდესი ისტორია ყოველთვის იყო და ყველანაკ რჩება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თემად ჩვენი მწერლების, კომპოზიტორების, სახვითი ხელოვნების, თეატრის და კინოს მოღვაწეთა შემოქმედებაში. დრო გადის და კიდევ ოცდა შთამბეჭდავი ხდება ის თემა. საბჭოთა არმია კი 60 წლისა გახდა უკვე, ოცდა სწორად 23 თებერვალს ვიზეიმებთ მისი შექმნის ამ დიდმნიშვნელოვან თარიღს.

მანამდე კი მთელ ჩვენს ქვეყანაში იწყობა მრავალი შესანიშნავი ღონისძიება, რომელთა მიზანი ერთია — რაც შეიძლება სრულყოფილად წარმოაჩინონ საბჭოთა არმიის, საბჭოთა ჯარისკაცის საქმენი საგმირონი.

ჩვენს რესპუბლიკაში ერთი ასეთი ღონისძიება ეკუთვნის მხატვართა კავშირს, რომელმაც საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეაში მოაწყო საბჭოთა არმიის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა.

გამოფენა ამ დღეებში გაიხსნა. მას შემდეგ დამთვალიერებელი არ მოაკლებია გალერეას დარბაზებს. ბევრი სასიამოვნო სიტყვებიკ ჩაიწერა შთაბეჭდილებათა წიგნში. მთავარი კი მაინკ ის არის, რომ ქართველ მხატვრებს, საბჭოთა სახვითი ხელოვნების ერთ-ერთ მოწინავე რაზმს, თავისი შემოქმედების ორკანონო ნაწილად გაუხდია ჩვენი არმიის გმირული წარსულისა და დღევანდელობის შთამბეჭდავი და ხელშესახებად ასახვა. გამოფენაზე წარმოდგენილია ქართველ თერმწერთა. გრაფიკოსთა, მოქანდაკეთა, დეკორატიული ხელოვნების ოსტატთა ბევრი დასამახსოვრებელი ნაწარმოები.

საგულისხმოა, რომ გამოფენაზე ჭარბობს ქართველ მხატვართა ახალგაზრდა თაობა, რომელსაც ომის სიმწარე არ გადაუტანია, თუმცა სწამს და სჯერა, რომ შემოქმედებითი ხარკი უნდა გაიღოს იმ ჯარისკაცის მიმართ, რომელმაც ფაშისტური ოდლისაგან იხსნა მისი სიცოცხლე.

გამოფენის ყველაზე საინტერესო ნაწილს იმ მხატვართა ნამუშევრები წარმოადგენს, რომლებმაც საკუთარი თვალით ნახეს ნაცარტიტად ქცეული ნოვოროსიისკი და ქიღუხრელი კავკასიონი. რომლებიკ თვითონ მონაწილეობდნენ დიდ სამამულო ომში. ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის ე. თოლაშვილის „ომისდროინდელი ნახატები“, „კავკასიონის დაცვა“, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის ა. ყიფენტის „ნოვოროსიისკი — „მცირე მიწა“ და სხვ.

მნახველთა ინტერესს იწვევს მ. მურმანიშვილის ქედურობა „მშვიდობის სადარაჯოზე“, ზ. დავთაიას თერწერული ტილო „მცირე მიწა“. გ. შხვაცებაიას ქანდაკება „მიჩნა ველოვანი“... და კიდევ ბევრი კარგი ნამუშევარი, რომელთა ჩამოთვლა აქ მართლაც ძნელია.

— ეს არის პირველი დიდი ღონისძიება ამათ შორის, — გვითხრა საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ნ. ჯანგბერიძემ, — რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში უნდა მოეწყოს საბჭოთა არმიის შექმნის მე-60 წლისთავის გამო. ჩვენთვის სასიამოვნოა, რომ გამოფენაზე ძირითადად ახალგაზრდობაა წარმოდგენილი. ალბათ, ბევრს ეხსომება, რომ ჩვენ კიდევ ერთხელ მოვაწყვეთ ასეთი გამოფენა, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავს მივუძღვენით, ოღონდ მაშინ გამოფენა მთლიანად დავუთმეთ ომის ვეტერან მხატვრებს... ამ გამოფენიდან ჩვენ შევარჩევთ საუკეთესო ნაწარმოებებს და გავგზავნით მოსკოვში, სადაც საბჭოთა არმიის შექმნის მე-60 წლისთავისათვის გაიხსნება დიდი საკავშირო გამოფენა. ვფიქრობთ, ქართველ მხატვართა ნიჭიერება კიდევ ერთხელ დიდ სიამოვნებას განაცდევინებს მოსკოველებს.

Თ. ᲛᲐᲠᲓᲐᲚᲔᲘᲗᲕᲘᲚᲘ.

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲔᲥᲡᲙᲣᲠᲡᲘᲝᲜᲔᲑᲘ

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: მარცხნივ — გ. ლაზარიშვილი — „სამშობლოსათვის“; ზემოდან — მ. მურმანიშვილი — „მშვიდობის სადარაჯოზე“; ი. რამიშვილი — ფორე მოსულიშვილის პორტრეტი.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

სცენაზე გაცოცხლებული

მ. შატროვის „ᲔᲥᲕᲡᲘ ᲘᲕᲚᲘᲡᲘ“ — ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲚᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ დიდი თეატრალური ტრადიციების ქალაქია. ამჟამინდელი სახელი რომ გერქვას, დიდი პატივია. ეს დაფასება წარსულით, აწმყოთი და მომავლით არის განსაზღვრული. თეატრის წარსული დიდებულ დღეებთან ერთად მრავალ ღირსეულ სახელს გავახსენებს, მომავალი იმედიან ახალგაზრდობას ელოდება, დღეს კი კოლექტივში შემოქმედებითი ძიებისა და აღმავლობის განწყობილება სუფევს. ამითაც უნდა აეხსნათ გარკვეულწილად გაბედული ნაბიჯი, როცა თეატრმა მ. შატროვის დოკუმენტური დრამის „ᲔᲥᲕᲡᲘ ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ“ სცენური ხორცშესხმა განიზრახა. გადაწყვეტილების სითამამეს, რა თქმა უნდა, საკუთარი ძალების ღრმა რწმენა და ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი შესაფერი სპექტაკლის შექმნის სურვილი ამოძრავებდა.

დრამატურგმა მ. შატროვმა პიესის „ᲔᲥᲕᲡᲘ ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ“ ყველა დოკუმენტური დრამის უფლებებით განსაზღვრა. ცხადზე უცხადესია, რომ აქ სიტყვა „დოკუმენტური“ განსაკუთრებული სიფრთხილე ნიშნად აღიქმება და ნაწარმოების სცენაზე განხორციელებისას თეატრი ვალდებულია ყურად იღოს ყველა ის მოთხოვნა, რომლებსაც ავტორი და მასთან ერთად საყოველთაოდ ცნობილი ისტორიული ფაქტისადმი ფაქიზი დამოკიდებულება ითვალისწინებს.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა რეჟისორმა გიორგი ქუთათელაძემ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა დრამატურგიული მასალის ბოლომდე ერთგული დარჩა, მან თანმიმდევრობით გაიაზრა დოკუმენტური სინამდვილით აღბეჭდილი ამბავი და ძირითადი კონფლიქტი პიესისა — ბრესტის ზავის მომართ ბოლშევიკებისა და ესერების დამოკიდებულება, ყოველმხრივ შეეცადა პიესის მოქმედი პირნი, კონკრეტული ისტორიული გმირები რეალური სიცხადით წარმოეჩინა.

...1918 წლის ივლისის ცხელი დღეებია. ჩვენი ქვეყნის ისტორიის ამ მეტად პასუხსაგებ მომენტში, როცა რევოლუციის დიადი მონაპოვარი გარდაუვალი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, შინაური და გარეშე მტრების მოძალეობის ჟამს, კიდევ ერთხელ მთელი ელვარებით გამოანათა დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ნიჭმა და ასპარეზი ბოგა მისმა გამჭრიახობამ. მოვლენათა განვითარების მისეულმა ანალიზმა ბკვეთრი ზღვარი დაუდო ალბათობის მოულოდნელობებს და მიზანაუდებელი სტრატეგიის ურყევობით განმუტა მდგომარეობა.

ქუთათელის თეატრის სპექტაკლი საკსებით გამორიცხავს რეტროსპექტიული მეხსიერების სიმშვიდეს და წუთიერი ეჭვი ივლისის დრამატული სიტუაციების ამტიურ მონწილად გაქცევს.

ძალდაუტანებლად, ზუსტად შერჩეული ძენწი შტრიხებით, გონივრულად მიკვლეული სამეტყველო დახასიათებით, პორტრეტული მსგავსებით, თბილი, შეფარული იუმორით და გადამდები, სცენური აზროვნების სიმკვეთრით მსახიობ **დავით დვალიშვილის** მიერ შექმნილი ლენინის სახე ქართული თეატრის ლენინიანის ლირსშესანიშნავი შენაძენია.

რადგან ქუთაისელთა სპექტაკლში ძირითადი სირთულე — ლენინის ადამიანური მომხიბვლელობა, მისი არაჩვეულებრივი სიდიადის გააზრება მიღწეული იქნა, მოქმედების განვითარების ლოგიკამ რეალური საფუძველი მოიპოვა და მძაფრმა შინაგანმა რიტმმა დაძაბული ბრძოლის გაუნელებელი განწყობილება დაბადა.

სპექტაკლში გამსაკუთრებით გამოიკვეთა ძერჟინსკის ძალა და მისი რკინისებური, გაუტეხელი შეუვალობა. რუსპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ერემია სულანაძემ რევოლუციის რაინდის შემართება ემოციური დამაჯერებლობითა და ეჭვმოუტანელი სიძლიერით წარმოგვიდგინა.

ლენინის თანამებრძოლების — სვერდლოვისა (მსახიობი ანზორ ხერხაძე) და ბონჩ-ბრუევიჩის (რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვახტანგ მეგრელიშვილი) სახეები აღბეჭდილია როგორც პორტრეტული, ისე შინაგანი მსგავსებითა და სამართლით. სპექტაკლში თეატრის თითქმის მთელი დასი მონაწილეობს, რაც მოქმედ პირთა სიმრავლემ და მასობრივი სცენების აუცილებლობამ მოითხოვა.

რეჟისორმა გ. ქავთარაძემ თოლია ოსტატურად მოახერხა მასობრივი სცენების კომპოზიციური განლაგება, მაგრამ შინაგან, აქტიურ ქმედითობას შემდგომი დახვეწა სჭირდება, რომ ილუსტრაციულობის საშიშროება გაიფანტოს.

ახალგაზრდა მსახიობი იამზე ჩხეიძე შეეცადა ბოლშევიკების მოწინააღმდეგე ბახაკის ლიდერი სპირიდონოვა ძლიერ პიროვნებად წარმოეგინა. ამისთვის ეტყობა ძალიც ყოფნის და შეაბალებლობაც, მაგრამ ეს რთული ხასიათი ბოლომდე დამაჯერებელი რომ გახდეს, ამას ალბათ დრო და მუშაობა სჭირდება. კერძოდ, ამ შემთხვევაში და, საერთოდ, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს მსახიობთა სწორი მეტყველების კულტურას, რაშიც, სამწუხაროდ, ზოგიერთები მოუტევებლად სცოდავენ.

ქუთაისელების სასიკეთოდ დაიბადა სპექტაკლი, რომელიც თავისი სისხლსავსე ეხოვრებით ათასკეცებს პატივისცემის გრძნობას ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივისადმი და ერთხელ კიდევ გვაჯერებენს, რომ მათ ხელეწიფებათ რთული, დრამატული კოლიზიებით დატვირთული ნაწარმოებების თავსებურად გაზრება-გადაწყვეტა, ამისათვის ნიჭიც აქვთ და უნარიც.

Ვ. ᲑᲠᲔᲒᲐᲫᲔ,
თეატრმცოდნე.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: სპექტაკლ „ᲔᲥᲕᲡᲘ ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ“ სცენა. მარჯვნიდან: ე. სვანაძე (ძერჟინსკი), ა. ხერხაძე (სვერდლოვი), ი. ჩხეიძე (სპირიდონოვა).

Ა. ᲙᲐᲒᲐᲩᲘᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲤᲘᲒᲣᲠᲣᲚᲘ ᲪᲘᲒᲣᲠᲝᲑᲐ

ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲩᲔᲛ�პᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ წᲘᲜ

ᲝᲓᲔᲡᲐᲨᲘ მიმდინარეობს საკავშირო ტურნირი ფიგურულ ცურაობაში. ამ შეჯიბრების შედეგების მიხედვით დადგინდება ვინაობა სპორტსმენებისა, რომლებმაც მონაწილეობა უნდა მიიღონ ევროპის ჩემპიონატში. წყვილთა სრიალში, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველობა არავის დაუთმეს მოსკოველებმა ი. როდნინამ და ა. ზაიცევემ (149.98 ქულა, ადგილების ჯამი 9). მეორე-მესამე ადგილებე მოსკოველებს დარჩათ: მ. ჩერკასოვა-ს. შახრაი (144,96 და 18), გ. ტაიროვა-ა. გოლოვკინი (137.32 და 30).

ქალთა შორის უძლიერესი იყო მოსკოველი ე. ვოდორეზოვა (184,76 და 9). მეორე მესამე ადგილებზე გავიდნენ ლენინგრადელები ნ. სტრელკოვა (178.64 და 18) და ჟ. ილინა (171,50 და 27).

ᲮᲔᲚᲒᲣᲠᲗᲘ

ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲔᲑᲘ ᲙᲘᲔᲕᲔᲚᲔᲑᲘ

ᲕᲘᲚᲜᲘᲣᲡᲨᲘ და სვერდლოვსკში დამთავრდა ხელბურთელ ქალთა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის პირველი ნახევარი. ქულათა მაქსიმუმი დააგროვა კიევის „სპარტაკმა“ (10 ქულა) და შეჯიბრების ერთპიროვნული ლიდერია. მომდევნო ადგილებზე არიან ბაქოს „სპარტაკი“ (9), ვილნიუსის „ᲔᲚᲔᲠᲐ“ და კაუნასის „ᲙᲐᲚᲐᲜᲘᲡᲘᲡᲘ“ (8-8). პირველი წრის დასკვნითი ტურნირი 20 იანვარს დაიწყება კაუნასში.

ᲠᲐᲡᲘᲡᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 9 იანვარი. (საᲐᲓᲔᲡᲘ). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აპარტეიდის წინააღმდეგ მებრძოლი სპეციალური კომიტეტის თავმჯდომარემ ლესლი ჰარიმანმა (ნიგერია) ამერიკის შეერთებული შტატების ჩოგბურთის ასოციაციას მოუწოდა უარი თქვას დევისის თასზე ამერიკელ ჩოგბურთელებსა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ჩოგბურთელთა შორის მატჩის მოწყობაზე.

განცხადებაში ნათქვამია, რომ მატჩი, რომელიც უნდა გაიმართოს 17-19 მარტს ნეშვილში (ტენესის შტატი), „სამხრეთ აფრიკის ჩაგრული ხალხის აბუჩად აგდებად იქნება“. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სპორტსმენთა მონაწილეობა ამ ასპარეზობაში, აღნიშნავს ჰარიმანი, დაარღვევს ოლიმპიურ პრინციპებსა და საერთაშორისო დეკლარაციას სპორტში აპარტეიდის წინააღმდეგ, რომელიც გაერთიანებული ერების გენერალურმა ასამბლეამ მიიღო მარშან.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ —

ᲪᲣᲠᲩᲐ. პროვიდენსში (ამშ), მოცურავეთა საერთაშორისო შეჯიბრებაში, ევროპის ჩემპიონმა ლენინგრადელმა ი. ბოგდანოვამ მისთვის უჩვეულო დისტანციაზე — 100 იარდზე ცურვაში ყველას აჯობა. მისი შედეგია 1 წუთი და 3,2 წამი.

ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲘ. სსრ კავშირის ვალეა ნაკრებმა ესპანეთის ქალაქ ლაკორუნიაში მოუგო იტალიის ნაკრებს ანგარიშით 30:16. აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობენ ადრეული რუმინეთის, ესპანეთისა და საფრანგეთის გუნდები.

ᲜᲘᲣᲘᲝᲠᲙᲘ. ნიუ-იორკის „მედისონ სკვერ გარდენის“ დარბაზში გამართული მორიგი საერთაშორისო ტურნირი „მსოფლიოს პირველი ნიგანის“ წოდებაზე მოიგო ამერიკელმა ჯ. კონორსმა. მან ფინალში დაამარცხა შვედი ბ. ბორგი ანგარიშით 6:4, 1:6, 6:4.

ᲛᲔᲥᲚᲔᲝᲑᲜᲝᲑᲐ. სომაღლეზე ხტომაში მსოფლიოს პირველი საბჭოთა რეკორდსმენის ი. სტრეპანოვის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტრადიციულ ტურნირში ყველას აჯობა კუიბიშეველმა მძლეოსანმა გ. ბელკოვმა. მისი შედეგია 224 სმ.

ᲤᲔᲮᲑᲣᲗᲘ

ᲪᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲞᲐᲜᲐᲓᲐᲨᲘ

ᲡᲡᲠ კალთრის პოლისტთა ნაკრებმა, იაპონიაში წარმატებული მატჩების შემდეგ, კანადაში სამი შეხვედრა გართმა. თავდაპირველად სსრკ-ისა — ᲐᲠᲐᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲠᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ. აქ მათ — ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲚᲘ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲝᲚᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“ ანგარიშით 7:2. ამის მერე შეხვდნენ „ᲒᲘᲜᲝᲠᲘᲐᲡ ᲯᲘᲠᲙᲣᲡᲘ“. აღსანიშნავია, რომ იაპონიაში ამ ჯუნიორად სსრ კავშირის ნაკრებმა საშინელი შეხვედრა მოიგო. ამჯერად „ᲒᲘᲜᲝᲠᲘᲐᲡ ᲯᲘᲠᲙᲣᲡᲘᲡ“ შეძლო რევანშის აღება — 5:3. საბჭოთა ჰოკეისტებმა მორიგი მატჩი გამართეს „ᲙᲘᲔᲕᲘᲡ ᲜᲝᲠᲓᲘᲙᲘᲡᲗᲐᲜ“. ეს გუნდი ჰოკეის მსოფლიო ასოციაციის ჩემპიონატში ამჟამად მესამე ადგილზეა. საბჭოთა ნაკრებმა კვიბიშეველთან შეხვედრაში ანგარიში — 6:3.

ᲗᲮᲘᲚᲐᲥᲣᲠᲔᲑᲘ

რᲑᲝᲚᲐ ᲞᲐᲠᲙᲨᲘ

ᲜᲝᲠᲕᲔᲒᲘᲘᲡ დედაქალაქ ოსლოს ერთ-ერთ პარკში გაიმართა ჩრდილოეთის ქვეყნების მოთხილამურეთა ტრადიციული რბოლა „ᲒᲝᲜᲝᲚᲝᲜᲝᲗᲘ“. 18-კილომეტრიან ტრასაზე უძლიერესი აღმოჩნდა ნორვეგიელი ლარს-ერიკ ერიქსენი. მან ეს მანძილი გაიარა 53 წუთსა და 41 წამში. საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო იყო ი. გარანინი, რომელმაც მეოთხე ადგილი დაიკავა — 54 წუთი და 57 წამი.

ქალთა შორის 9-კილომეტრიან ტრასაზე გაიმარჯვა ფინეთის წარმომადგენელმა ჰილკა კუნტოლამ — 19 წუთი და 51 წამი. ქალთა რბოლაში საბჭოთა სპორტსმენებს არ უსახპარეზიათ.

□

სᲐᲔᲘ ᲭᲚᲘᲡ „ᲛᲐᲠᲗᲕᲔ“

საᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝᲓ მკითხველმა „მართვის“ ახალი, რიგით მეთორმეტე ნომერი მიიღო. ეს ჟურნალი, რომლის დევიზია, შეასრულოს მაორგანიზებელი როლი მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საქმეში, სულ სამი წელიწადია გამოდის. ამ მცირე დროში იგი იმდენად პოპულარული გახდა, რომ დღეს უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ — „მართვა“ დიდი ფრენინსთვისაა დაბადებული. პირველი, რასაც ასე გულდაგული შეება „მართვა“, „ᲔᲗᲡᲘ ᲑᲘᲭᲘᲑᲘᲡ“ პრობლემა გახლდათ. შენდებოდა სახლები, უნენები, მიკრორაიონები, მაგრამ ფეხბურთის, ფრენბურთისა თუ კალათბურთის მოედნების მოწყობა ყველას აკიწყდებოდა... საშვილიშვილო სიქმის გულთან მიტანამ სასურველი შედეგი გამოიღო. ამ საახალწლო ნომერში „მართვამ“ კიდევ ერთხელ გვახარა: თბილისის 26 კომისრის რაიონში მშვენიერი სპორტული მოედანი აშენდო — სიტყვა საქმეზე დაამშვენა!

ვისაც სპორტთან დამკავშირებულ ხურვალი გაუნძდება, ჟურნალი პირველი ნომრიდან მოყოლებული სთავაზობს სახარგაზოო რეკომენდაციებს ესეთ საინტერესო მასალებში, როგორიც არის „რბენა სიცოცხლისათვის“, „ᲰᲔᲠᲯᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ“, „ᲪᲣᲠᲐᲗᲐ ᲭᲘᲮᲘᲡ ᲐᲓᲒᲛᲐᲓᲒᲐ“...

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲛᲐ მრავალგზის აქცია მსჯელობის საგნად სკოლაში ფიზიკულტურის გაკვეთილის უკეთ ჩატარების საქმე, თუ დიდი დასვენების პრობლემა.

„მართვის“ ფურცლებზე მკითხველი შეხვდება ბევრ საქვეყნოდ სახელგანთქმულ ქართველ სპორტსმენს. განსაკუთრებით სასიამოვნოა ამ საახალწლო ნომერში გიორგი ნიკოლაძის, ბორის პაიჭაძის, ოთარ ქორქიას, მიხეილ ხერგიანის, ნონა გაფრინდაშვილისა და სხვათა საგმირო საქმეების გახსენება.

დასასრულ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჟურნალის მხატვრული გაფორმება, ფოტოების კარგი ხარისხი.

რ. ᲛᲔᲡᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

რედაქტორი
Დ. ᲛᲔᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ

მსახიობის ხსოვნა

„ᲬᲘᲒᲜᲘ ᲙᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲡᲣᲛᲑᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ-ᲘᲣᲜᲘᲜᲖᲔ“

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ თეატრმცოდნეობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს დ. ჩხეიძეშვილის მონოგრაფიას საბჭოთა ქვეყნის გამოჩენილი ხელოვანის ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის შესახებ. წიგნი შეიცავს საინტერესო დოკუმენტურ მასალას, მსახიობის დიდ ეპისტოლურ მემკვიდრეობას, მოგონებებს მასზე. ნაშრომს ის მნიშვნელობაც აქვს, რომ ავტორი არ შემოფარგლულა ამოცანით — გაეცნო ჩვენთვის ერთი კაცის ცხოვრება ან, თუნდაც, სახელოვანი მცირე თეატრის საქმიანობა, მან გვიჩვენა რუსეთისა და საქართველოს კულტურული კავშირურთიერთობის ფართო პანორამა.

შეუძლებელია თეატრის ცხოვრების წარმოდგენა დროის, სოციალური დინამიკის გარეშე. მაგრამ დ. ჩხეიკეშვილის ნაშრომში ისტორიული ვითარება თხრილის ფონი კი არა, ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს წიგნის გმირისა და მისი თეატრალი თანამოსაგრეების სოციალურ-პოლიტიკურ პოზიციებს.

ავტორს მკითხველი შეპყავს თეატრალური ცხოვრების რთულ სამყაროში, ეოცხლად წარმოგვიდგენს მაშინდელ მოღვაწეებსა და ამბებს, რთულ სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებას.

ცხადია, მონოგრაფიაში ცენტრალური ადგილი ეთმობა მსახიობის შემოქმედებას, მის მიერ შესრულებული როლების გარჩევას, მის მხატვრულ და საზოგადოებრივ პოზიციას.

სწორედ აქ არის წარმოდგენილი ყველაზე საინტერესო და ვრცელი მასალა, მოცემულია მისი მრავალმხრივი და საინტერესო ანალიზი, რის შედეგადაც მკითხველის თვალწინ იკვეთება ფრიად ორიგინალური შემოქმედი და საზოგადო მოღვაწე. ეს ერთობ რთული ამოცანა იყო, რადგან თვალშეუდგამია მსახიობის სცენური შემოქმედება, მისი ესთეტიკური ნაზრევი და დრამატურგიული მემკვიდრეობა.

ავტორის უდავო დამსახურებაა ა. სუმბათაშვილ-იუჟინის ადგილის გარკვევა მეცხრამეტე საუკუნის რუსული სცენის კორიფეთა შორის.

უპირველესად მან შეგვიყვანა მსახიობის შემოქმედებითს ლაბორატორიაში, რელიეფურად წარმოგვიდგინა მის მიერ განსახიერებული უმთავრესი როლები კლასიკურ და თანამედროვე რეპერტუარში, გაანალიზა სცენური მასალა, მსახიობის დიდ ეპისტოლურ მემკვიდრეობას, მოგონებებს მასზე. ნაშრომს ის მნიშვნელობაც აქვს, რომ ავტორი არ შემოფარგლულა ამოცანით — გაეცნო ჩვენთვის ერთი კაცის ცხოვრება ან, თუნდაც, სახელოვანი მცირე თეატრის საქმიანობა, მან გვიჩვენა რუსეთისა და საქართველოს კულტურული კავშირურთიერთობის ფართო პანორამა.

შეუძლებელია თეატრის ცხოვრების წარმოდგენა დროის, სოციალური დინამიკის გარეშე. მაგრამ დ. ჩხეიკეშვილის ნაშრომში ისტორიული ვითარება თხრილის ფონი კი არა, ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს წიგნის გმირისა და მისი თეატრალი თანამოსაგრეების სოციალურ-პოლიტიკურ პოზიციებს.

ავტორს მკითხველი შეპყავს თეატრალური ცხოვრების რთულ სამყაროში, ეოცხლად წარმოგვიდგენს მაშინდელ მოღვაწეებსა და ამბებს, რთულ სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებას.

ცხადია, მონოგრაფიაში ცენტრალური ადგილი ეთმობა მსახიობის შემოქმედებას, მის მიერ შესრულებული როლების გარჩევას, მის მხატვრულ და საზოგადოებრივ პოზიციას.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲡᲣᲛᲑᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ-ᲘᲣᲜᲘᲜᲖᲔ

ᲡᲬᲝᲠᲔ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲠᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

ᲛᲐᲡᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲐᲠᲥᲘᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲑᲘᲗ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝᲒᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲙᲐᲨᲘ

□

სტატია „საქართველოს არქეოლოგია, უახლესი აღმოჩენები, პრობლემები, პერსპექტივები“. საერთაშორისო შეხვედრაში აღნიშნულია, რომ ამ სტატიით ჟურნალმა დაიწყო მასალების ბეჭდვა, რომლებიც საბჭოური არქეოლოგიური მეცნიერების მიღწევებს მიეძღვნა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში. სტატიას თან ახლავს ვრცელი ბიბლიოგრაფია, რომელიც ასახავს ქართული არქეოლოგიის წარმატებებს. ჟურნალის ამავე ნომერში დაბეჭდილია დ. მუსხელიშვილის და კ. ფიცელაურის სტატიები.

ახლახან მოსკოვის გამომცემლობა „ნაუკამ“ გამოუშვა არქეოლოგიის ინსტიტუტის მორიგი კრებული „კრატკიე სოობშჩენია“ № 151, რომელიც მთლიანად ეძღვნება კოლხეთისა და იბერიის ანტიკური ძეგლებიდ შესწავლას. კრებულის წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ უკანასკნელი წლების აღმოჩენებმა კოლხეთის და იბერიის ტერიტორიაზე ძალიან გაამდიდრა მეცნიერება უნიკალური მასალებით.

Ბ. ᲯᲝᲠᲑᲔᲜᲐᲫᲔ.

ᲓᲘᲓᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘᲗ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები ამ ბოლო დროს ხშირად ფიქრდება საკავშირო პერიოდიკურ გამოცემებში.

ჟურნალ „ზნანიე სილას“ და „ᲞᲝᲙᲘᲠᲣᲐ ᲡᲕᲘᲢᲐᲡ“ ფურცლებზე დაიბეჭდა ი. მოიეკოს და ე. ბერზინის სტატიები, რომლებიც მიეძღვნა ვანის ნაჭალაქარის და ეინეგალის ჰიდროტექნიკური კომპლექსის მშენებლობის ტერიტორიაზე წარმოებულ არქეოლოგიურ ძიებას.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტის ჟურნალ „სოვეტსკაია არხეოლოგიას“ მესამე ნომერში დაიბეჭდა ო. ლორთქიფანიძის

ᲓᲘᲓᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘᲗ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები ამ ბოლო დროს ხშირად ფიქრდება საკავშირო პერიოდიკულ გამოცემებში.

ჟურნალ „ზნანიე სილას“ და „ᲞᲝᲙᲘᲠᲣᲐ ᲡᲕᲘᲢᲐᲡ“ ფურცლებზე დაიბეჭდა ი. მოიეკოს და ე. ბერზინის სტატიები, რომლებიც მიეძღვნა ვანის ნაჭალაქარის და ეინეგალის ჰიდროტექნიკური კომპლექსის მშენებლობის ტერიტორიაზე წარმოებულ არქეოლოგიურ ძიებას.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტის ჟურნალ „სოვეტსკაია არხეოლოგიას“ მესამე ნომერში დაიბეჭდა ო. ლორთქიფანიძის

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲤᲝᲡᲢᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲮᲚᲘ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘᲡ ᲥᲕᲠᲘᲗ

ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘ. სოფელ წყაროში, შიმოფუსკილ რაიონში ბოლო ხანებში ბევრ ადგილას ჩაწერეს ბიჭი ბორის ბოლოვინ-ბოლოვინ. ბიჭი ბორის ბოლოვინ-ბოლოვინ ბევრ ადგილას ჩაწერეს ბიჭი ბორის ბოლოვინ-ბოლოვინ. ბიჭი ბორის ბოლოვინ-ბოლოვინ ბევრ ადგილას ჩაწერეს ბიჭი ბორის ბოლოვინ-ბოლოვინ. ბიჭი ბორის ბოლოვინ-ბოლოვინ ბევ